კახაბერ ციმინტია

# მიკროეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში

თბილისი
2018

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**SOKHUMI STATE UNIVERSITY**

## კახაბერ ციმინტია
## Kakhaber Tsimintia

# მიკროეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში
# Microeconomic Security in Economic Security System

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2018
**Sokhumi State University Publishing house**
**Tbilisi 2018**

უაკ (UDC) 330.101.542
ც-623

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – მიკროეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების შესწავლას. მასში თანმიმდევრულადაა განხილული ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებლები და ელემენტები; ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში, მისი კრიტერიუმები და ინდიკატორები; მიკროეკონომიკური უსაფრთხოების არსი, მახასიათებლები და სტრუქტურა. გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პარამეტრები.

The present work is dedicated to one of the important elements of economic security – study of the problems of microeconomic security. Main characteristics and elements of national security; the place and role of economic security in national security system, its criteria and indicators; the essence, characteristics and structure of microeconomic security are sequentially discussed in the work. The analysis of the parameters of Georgian economic security is provided in details.

**რედაქტორი:** ***ევგენი ბარათაშვილი.*** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**რეცენზენტები:** ***ჯანდრი ზარანდია.*** ეკონომიკის დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
***დემნა კვარაცხელია.*** ეკონომიკის დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Editor:** ***Evgeni Baratashvili.*** Doctor of economic sciences. Full Professor of Georgian Technical University. Head of the Department of Business Administration

**Reviewers:** ***Jandri Zarandia.*** Doctor of economics. Associate Professor of Sokhumi State University
***Demna Kvaratskhelia.*** Doctor of economics. Associate Professor of Georgian Technical University.

© ჯ. ციმინტია, 2018

ISBN 978-9941-26-292-0

## შინაარსი

**თავი I. ეროვნული უსაფრთხოება: არსი, მახასიათებლები, სტრუქტურა .......................7**

1.1. ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებლები .........................................7

1.2. ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ..................................................18

1.3. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები და ინდიკატორები ............. 30

**თავი II. ეკონომიკური უსაფრთხოების პარამეტრები საქართველოში ....................... 47**

2.1. ძირითადი ისტორიული გამოწვევები და ეკონომიკური მუქარები ............................ 47

2.2. საქართველოს ეკონომიკის რეტროსპექტიული ანალიზი .....................51

2.3. ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალური ინდიკატორები .............64

2.3.1. მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორები ...............64

2.3.2. სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები ............................................74

2.3.3. ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები .............................................82

**თავი III. მიკროეკონომიკური უსაფრთხოება: მიზანი, სტრუქტურა, მახასიათებლები .......88**

3.1. მიკროეკონომიკური უსაფრთხოების მიზანი და ამოცანები ..................................88
3.2. პირველადი სტრატეგიული რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები ..............90
3.3. საქართველოს ბუნებრივი რესურსები .....100
3.4. სასურსათო უსაფრთხოების ინდკატორები ...............................................103
3.5. მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის თანაფარდობა ............................................ 118

**რეზიუმე ინგლისურ ენაზე ........................................124**
**გამოყენებული ლიტერატურა ..................................135**

## CONTENT

**Chapter I. National Security: Essence, Characteristics, Structure ........ 7**

1.1. The main characteristics of the National Security ... 7

1.2. Place and Role of Economic Security in the National Security System ........ 18

1.3. Criteria and Indicators of Economic Security ......... 30

**Chapter II. Parameters of Economic Security in Georgia ........ 47**

2.1. Main Historical Challenges and Economic Threats .... 47

2.2. Retrospective Analysis of Georgian Economy ........... 51

2.3. Functional Indicators of Economic Security................. 64

2.3.1. Indicators of Possibilities of Sustainable Economic Development ........ 64

2.3.2. Indicators of Social Security ........ 74

2.3.3. Indicators of Financial Security ........ 82

**Chapter III. Microeconomic Security: Goal, Structure, Characteristics ........ 88**

3.1. Goal and Objectives of Microeconomic Security ........ 88

3.2. Indicators of Provision with Primary Strategic
Resources ................................................................ 90
3.3. GeorgianNatural Resources ........................................ 100
3.4.Indicators of Food Security ......................................... 103
3.5. Correlation of Large, Medium and Small Businesses .. 118

Abstract in English............................................................ 124
Bibliography ...................................................................... 135

*„...ერთი რამ თითქმის უეჭველია, რომ ეკონომისტებს მოუწევთ ისწავლონ ცხოვრება არეულობაში. ანუ, მათ მოუწევთ აღიარონ ირაციონალური და ხშირად არაპროგნოზირებადი ქცევის მნიშვნელობა, მათ მოუწევთ დაუპირისპირდნენ ბაზრების ხშირად უნიკალურ ხარვეზებს და მიიღონ, რომ ელეგანტური, ეკონომიკური „ყველაფრის თეორია", ძალიან შორსაა რეალობისგან. ფაქტობრივად, ეს გადაიქცევა უფრო ფრთხილ პოლიტიკურ რჩევად და შემცირებულ მზადყოფნად – მოშალო ეკონომიკური უსაფრთხოების ზომები იმ რწმენით, რომ ბაზრები გადაჭრიან ყველა პრობლემას"*

პოლ კრუგმანი

# თავი I. ეროვნული უსაფრთხოება: არსი, მახასიათებლები, სტრუქტურა

## 1.1. ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებლები

განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეროვნული უსაფრთხოების საკითხების შესწავლა, ეროვნული ინტერესებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, იმ წინადადებების განხილვა და ფორმირებისადმი ხელის შეწყობა, რომლებმაც უნდა განაპირობონ ამ ინტერესებისა და პრიორიტეტების რეალიზება.

მოცემულ პირობებში ქვეყნები, რომლებიც სწრაფად და ღირსეულად შეძლებენ თანამედროვე ტენდენციებისადმი მზადყოფნას, ღირსეულ ადგილსაც დაიმკვიდრებენ მსოფლიო თანამეგობრობაში.

საქართველო იმყოფება თავისი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე. მრავალწლიანი ოკუპაციის შემდგომ XX საუკუნის ბოლო ათწლეულისთვის ქვეყანამ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება, ამასთან მიუხედავად სისტემური ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობისა ქართველმა ხალხმა უკვე XXI საუკუნის დასაწყისში დაამტკიცა თავისი ურყევი ნება, არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების, ევროპულ ოჯახში დაბრუნების სასარგებლოდ. ამასთან, ცხადი ხდება, რომ ამ გზაზე საქართველოს მოუწევს მრავალი სირთულის დაძლევა, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წელს ყოველგვარი საერთაშორისო ნორმებისა და წესების დარღვევით ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და საქართველოს რეგიონების ოკუპაცია.

ამგვარად, საქართველოს მასშტაბისა და მდგომარეობის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობა, რადგან პროცესებისადმი ინერტული დამოკიდებულება და შესაბამისი კონტრლონისძიებების განუხორციელებლობა საქართველოს ჩამორჩენილობასა და არასტაბილურობას უქადის. ე.ი. მთავარი ხდება განვითარების სტრატეგიაში ძირითად ფაქტორად განისაზღვროს უსაფრთხო და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

**„უსაფრთხოება“** გულისხმობს ობიექტის მდგომარეობას, მისი განვითარების უნარს შიგა და გარე მუქარების, გაუთვალისწინებელი და რთულად პროგნოზირებადი ფაქტორების პირობებში. ყველაზე გავრცელებული განსაზღვრებით „უსაფრთხოება“ არის სოციუმისა და მისი სტრუქტურის მდგომარეობა, განვითარების ტენდენციები და მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცულობა შიგა და გარე მუქარებისაგან (საფრთხეებისაგან). *(Сенчагов В.К. (2002) Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранениеиразвитие. Книга четвертая. ст.35; Олейников Е.А. (1997) Основы экономической безопасности. (Государство, регион, предприятие, личность). ст.10 ).*

ტერმინის „უსაფრთხოება“ გამოყენების სათავედ XII საუკუნის დასასრულს თვლიან და ამპერიოდისათვის იგი ყოველგვარი საფრთხისაგან დაცული ადამიანის მშვიდ, სულიერ მდგომარეობას აღნიშნავდა. თუმცა ამ ინტერპრეტაციით მან ადგილი ვერ დაიმკვიდრა. უკვე XVII-XVIII საუკუნეებში ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარ მიზნად საერთო კეთილდღეობა და უსაფრთხოება გამოდის. ამ პერიოდში „უსაფრთხოება“ ახალ შინაარსს იძენს და გულისხმობს მდგომარეობას, სიმშვიდის სიტუაციას, რომელიც დამახასიათებელია რეალური საფრთხეების არარსებობისთვის. *(Олейников Е.А. (1997) Основы экономической безопасности. (Государство, регион, предприятие, личность). ст.10 ).*

XX საუკუნის დასასრულისთვის, კაცობრიობის განვითარების გართულების, მასობრივი განადგურების

იარაღის განვითარების, განსაკუთრებით საშიში დაავადებების წარმოშობისა და საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „ეროვნული უსაფრთხოების“ სტრატეგიის ჩამოყალიბება. მაგ. 1999 წელს შემუშავებულ იქნა „აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ახალი ათასწლეულისათვის“, რომელშიაც სამი ძირითადი მიზანია განსაზღვრული: 1) უსაფრთხოების გამყარება, დაფუძნებული არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაზე; 2) ამერიკის ეკონომიკური აყვავებისთვის ხელშეწყობა; 3) სხვა ქვეყნებში დემოკრატიისთვის მხარდაჭერა.

ამჟამად განასხვავებენ უსაფრთხოების ორ ტიპს:

I. საფრთხის ჰიპოტეტური არ არსებობა. სიტუაცია, როდესაც სოციუმისთვის მოსალოდნელი არ არის რაიმე კატაკლიზმები, რაიმე სახის რყევები.

II. სოციუმის რეალური დაცულობა საფრთხეებისგან, მისი უნარი გადალახოს ისინი.

საფრთხეების (მუქარების) სახეებიდან და სოციალური ორგანიზმის ტერიტორიულ-გეოგრაფიული ურთიერთკავშირიდან გამომდინარე მიღებულია უსაფრთხოების შემდეგი დონეების გამოყოფა:

- საერთაშორისო გლობალური უსაფრთხოება;
- საერთაშორისო რეგიონული უსაფრთხოება;
- ეროვნული უსაფრთხოება;
- ლოკალური (რეგიონული) უსაფრთხოება;
- პიროვნების უსაფრთხოება. *(ოთინაშვილი რ. (2005) ეკონომიკურიუსაფრთხოება. ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები. გვ. 296; Олейников Е.А. (1997)*

*Основы экономической безопасности. (Государство, регион, предприятие, личность). ст.10 ).*

**უსაფრთხოების დონეები**




საერთაშორისო უსაფრთხოება (გლობალური და რეგიონული) გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც გარანტირებულია თითოეული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საგარეო მაჩვენებლები, ასევე გამორიცხულია საომარი კონფლიქტები საერთაშორისო და რეგიონული წინააღმდეგობების გადაწყვეტის პროცესში.

თითოეული სახელმწიფოს საგარეო და შიდაპოლიტიკური საქმიანობა დაკავშირებულია ობიექტურად არსებულ, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან, ამ ინტერესებისადმი არსებულ მუქარებთან, არსებული მუქა-

რებისადმი წინააღმდეგობის გაწევასთან. ეროვნულ ინტერესებს, მუქარებსა და მუქარებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს შორის ურთიერთკავშირი წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს.

ყველაზე ფართო მიდგომით, **ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობს სახელმწიფოს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც სახელმწიფოში დაცულია მისი ეროვნული ინტერესები, უზრუნველყოფილია მოსახლეობის, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა არსებული შიგა და გარე მუქარების პირობებში.**

ეროვნული უსაფრთხოების არსის განსაზღვრა მჭიდრო კავშირშია ისეთი კატეგორიების ახსნასთან, როგორიცაა: ეროვნული ინტერესები, მუქარები (საფრთხეები), გამოწვევა.

**ეროვნული ინტერესები** ესაა ობიექტური ფაქტორი, განპირობებული ქვეყნის მთელი სასიცოცხლო მოთხოვნების ერთობლიობით. ძირითად ეროვნულ ინტერესებს განეკუთვნება:

- ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა;
- ხალხის სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევა და პოლიტიკური თვითმართველობა;
- ღირსეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში;
- ქვეყნის განვითარება და ყველა სოციალური ფენის კეთილდღეობა;
- პიროვნების უფლებების უზრუნველყოფა.

**მუქარები (საფრთხეები)** ესაა სოციალურ ორგანიზმზე ნეგატიური ზემოქმედების ობიექტურად არსებული შესაძლებლობები. ზოგჯერ ხდება მუქარებისა და

საფრთხეების გამოყოფა. კერძოდ, მუქარა ესაა საფრთხის უფრო კონკრეტული ფორმა, ან პირობებისა და ფაქტორების ერთიანობა, რომელიც საფრთხეს ქმნის პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს, ასევე ეროვნული ფასეულობებისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქვეყანას შეიძლება შეექმნას მრავალი საფრთხე:

- წარმოშობის ადგილის მიხედვით: გარე და შიდა მიზეზებით გამოწვეული;
- მოქმედების დროის მიხედვით: მუდმივი, ხანგრძლივად მოქმედი და მოკლევადიანი;
- უნივერსალობის მიხედვით: საერთო და სპეციფიკური;
- ტერიტორიული გავრცელების მიხედვით: ადგილობრივი (ლოკალური), ეროვნული, რეგიონული და გლობალური;
- მოქმედების მეთოდების მიხედვით: ღია (აშკარა) და ფარული;
- მოქმედების გარემოს მიხედვით: ექსტრემალური და ნორმალური ვითარებისთვის დამახასიათებელი;
- წარმოშობის წყაროს მიხედვით: ბუნებრივი, ტექნოგენური და სოციალური;
- წარმოშობის ობიექტის მიხედვით: ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული;
- წარმოშობის ხასიათის მიხედვით: წინასწარი განზრახვით და განზრახვის გარეშე;
- მოქმედების ინტენსიურობის მიხედვით: აქტიური და პასიური;

- მოქმედების შედეგების მიხედვით: რეალური და პოტენციური;
- მოქმედების ხასიათის მიხედვით: მოულოდნელი და თანდათანობით გამოხატული;
- საფრთხის ხარისხის მიხედვით: შედეგების გამოსწორების შესაძლებლობით, ნაწილობრივი გამოსწორებით, გამოუსწორებელი შედეგებით;
- შედეგების თავიდან აცილების შესაძლებლობის მიხედვით: საფრთხე, რომლის თავიდან აცილება მთლიანადაა შესაძლებელი, ნაწილობრივადაა შესაძლებელი და არ არის შესაძლებელი. *(ოთინაშვილი რ. (2005) ეკონომიკური უსაფრთხოება. ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები. გვ. 297).*

**გამოწვევა** ესაა პირობათა ერთობლიობა, რომელზეც რეაგირება აუცილებელია, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა მას საფრთხის შემცველი ხასიათი.

რადგანაც ქვეყნის საქმიანობა მრავალფეროვან მიმართულებებს გულისხმობს, ეროვნულ უსაფრთხოებას მრავალმხრივი მიმართულება გააჩნია. შინაარსის მიხედვით იგი მოიცავს:

- ეკონომიკურ უსაფრთხოებას;
- სოციალურ უსაფრთხოებას;
- პოლიტიკურ უსაფრთხოებას;
- სამხედრო უსაფრთხოებას;
- ეკოლოგიურ უსაფრთხოებას;
- ტექნოლოგიურ უსაფრთხოებას;
- ინტელექტუალურ უსაფრთხოებას;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებას;

➢ დემოგრაფიულ უსაფრთხოებას და ა.შ.

მიღებულია, რომ ეროვნული უსაფრთხოების ყველა ეს სახე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ავსებს ერთმანეთს. ეროვნული უსაფრთხოების თითოეული სახე ძალიან მკაფიოდ ახდენს ზეგავლენას სხვა სახის უსაფრთხოებაზე. ამასთანავე, ეროვნული უსაფრთხოების ბაზისად რჩება ეკონომიკური უსაფრთხოება. ეკონომიკური უსაფრთხოება თავის გამოვლენას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებში, ამასთანავე თავის თავში ახდენს სხვა სახის უსაფრთხოებათა აკუმულირებას და რჩება ეროვნული უსაფრთხოების ბაზისად. *(Олейников Е.А. (1997) Основы экономической безопасности. (Государство, регион, предприятие, личность). ст.30).*

ნებისმიერი ქვეყნისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარკვეული, მყარად ჩამოყალიბებული პრინციპების რეალიზებაზეა დამოკიდებული. ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან, არსებით პრინციპებს განეკუთვნება:

❖ ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბება;
❖ გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების და ინტერესების განსაზღვრა;
❖ განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინება.

როგორც წესი, ფუნდამენტურ ღირებულებებს შორის უმთავრესია:

❖ სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა;

- დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა;
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია კონკრეტული ქვეყნისთვის, თუ რა შინაარსს მოიცავს თითოეული მათგანი. განსაზღვრულ ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს ეფუძნება ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად, საქართველოს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებად განსაზღვრულია:

- სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა;
- თავისუფლება;
- დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
- უსაფრთხოება;
- კეთილდღეობა;
- მშვიდობა.

აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ინტერესებად დეკლარირებულია:

- სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა
- სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება
- ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება
- ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

- ❖ ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა
- ❖ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ❖ რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა
- ❖ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება
- ❖ საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ❖ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა
- ❖ კიბერუსაფრთხოების განმტკიცება
- ❖ დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ❖ დიასპორებთან ურთიერთობა *(საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx)*

ჩვენი აზრით, **საქართველოსთვის უმთავრეს ეროვნულ ინტერესს** განეკუთვნება მისი იდენტურობის შენარჩუნების პირობებში, თითოეული მოქალაქისათვის ცხოვრებისა და კეთილდღეობის მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა.

აღნიშნული ეროვნული ინტერესის უზრუნველყოფაში, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, განსაკუთრებული, ფუძემდებლური მნიშვნელობა ენიჭება ისეთი **სტრატეგიული მიზნების** მიღწევას, როგორიცაა:

- ❖ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება;
- ❖ ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა;

- ❖ სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრება და სრულყოფა;
- ❖ მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიღწევა მთელს მის ტერიტორიაზე.

## 1.2. ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების შესწავლისადმი ყურადღება საქართველოში განსაკუთრებით გააქტიურდა XXI საუკუნის დასაწყისისთვის. ეკონომიკური კვლევის ამ მიმართულებას აღსანიშნავი ნაშრომები მიუძღვნეს შემდეგმა ქართველმა მეცნიერებმა: ბ. ალადაშვილმა, ე. ბარათაშვილმა, ო. ვაშაკიძემ, ზ. თეთრუაშვილმა, მ. თეთრუაშვილმა, რ. კაკულიამ, პ. კოღუაშვილმა, თ. მაღლაკელიძემ, ი. მესხიამ, რ. ოთინაშვილმა, გ. სვირავამ, გ. ყუფუნიამ, თ. ჩიკვაიძემ, დ. ჩომახიძემ, ნ. ჭითანავამ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ, ინსტიტუტის დირექტორის აკად. ნ. ჭითანავას და ამავე ინსტიტუტის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორის პროფ. თ. ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის შედეგად შემუშავებული ,,საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია” და ,,საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და

უსაფრთხო განვითარების პროგრამა", რომლებშიაც მაღალ მეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები, ძირითადი მიმართულებები, გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების თვალსაზრისით, ჩამოყალიბებულია და საქართველოსთვის გათვლილია ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული და საერთო ინდიკატორები, წარმოდგენილია 2020 წლამდე პერიოდისთვის საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარები.

ქართულ სამეცნიერო და ოფიციალურ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებულია ეკონომიკური უსაფრთხოების კატეგორიის შემდეგი განმარტებები:

- „ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეროვნული ეკონომიკის უნარი, უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა და პიროვნების მდგრადი ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნება ქვეყანაში არსებული შიდა და გარე საფრთხეების პირობებში". *(საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატური გეგმა. გვ. 57).*
- „ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც გარანტირებულია მისი ეროვნული ინტერესების დაცვა, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება და თვითგანვითარება შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე უფრო

არახელსაყრელ პირობებშიაც კი“. *(ჩიკვაიძე თ. (2003) მეთოდური რეკომენდაციები ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის შესამუშავებლად. სერ-პსკი-ს შრომების კრებული, VII ტ. გვ. 119).*

- „ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის დაცვას ეგზოგენური (საგარეო) და ენდოგენური (საშინაო) ნეგატიური ფაქტორების ზეგავლენისაგან და ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობათა პოლიტიკის რეალიზაციას, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის მდგრადი და ეფექტიანი განვითარებისაკენ“. *(მესხია ი. (2003) საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. III ტ. გვ. 70).*
- „სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების (მოთხოვნილებების) რეალიზაციას, პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისათვის ღირსეული ცხოვრების პირობებს და წინ აღუდგება ქვეყნის პროგრესის შემაფერხებელ გარე და შიდა საფრთხეებს. *(ოთინაშვილი რ. (2005) ეკონომიკური უსაფრთხოება. ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები. გვ. 301).*

- „ეკონომიკური უსაფრთხოება არის გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პირობების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს: ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობას კრიზისების პერიოდში; მის მომავალ განვითარებასა და რესურსების მართვის სფეროში საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას; მაკროეკონომიკური ზრდის დაბალანსებასა და დინამიკას; დესტაბილიზაციური ზემოქმედებებისგან შიდა იმუნიტეტისა და გარედან დაცულობის შექმნას; ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე და მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას; მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების დონისა და პიროვნების მდგრადი განვითარების პირობებს. *(ძნელაძე გ. ფინანსური უსაფრთხოება – ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის აუცილებელიპირობა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №107, 2008. გვ.22)*

ეკონომიკური უსაფრთხოების არსის გაგებისთვის მნიშვნელოვანია **„განვითარების“** და **„მდგრადობის“** ცნებებს შორის კავშირის გარკვევა. განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, მაგრამ ყოველგვარი განვითარება არ პასუხობს უსაფრთხოების მოთხოვნებს. ასეთი მდგომარეობის ყველაზე ნათელი მაგალითია განვითარების კვალობაზე ეკოლოგიური მოთხოვნების რღვევა ან განვითარება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სოციალურ ორიენტაციას. ცხადია, რომ თუ ეკონომიკა არ ვითარდება, მაშინ მცირდება შიგა და გარე საფრთხეების დაძ-

ლევის უნარი. **მდგრადობა** და **უსაფრთხოება** ნებისმიერი სისტემის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია. **სისტემის მდგრადობა ასახავს მისი ელემენტების სიმყარესა და საიმედოობას, შიგა და გარე საფრთხეების პრევენციის, მათი ზეგავლენით დარღვეული წონასწორობის აღდგენის უნარს.** როგორც წესი (რომის კლუბის მოხსენება, გაეროს ანგარიში), მდგრადი განვითარების ქვეშ იგულისხმება დინამიკური ეკონომიკური ზრდა, სოციალური პროგრესი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ანუ ისეთი განვითარება, რომლის დროსაც თანამედროვეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება იმგვარად, რომ არ იზღუდება მომავალი თაობების მოთხოვნილებები *(მაგ. ნიკოლაიშვილი დ. მდგრადი განვითარება. ნ. I (ისტორიული ექსკურსი). თბ., 2014. გვ.6-7).* **უსაფრთხოება კი გულისხმობს სისტემის დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და თვითგანვითარების შესაძლებლობას შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიაც კი.**

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის”. დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს, და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. კერძოდ:

**მიზანი 1:** სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.

**მიზანი 2:** შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.

**მიზანი 3:** ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნვლეყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

**მიზანი 4:** ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

**მიზანი 5:** გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.

**მიზანი 6:** წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.

**მიზანი 7**: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

**მიზანი 8:** სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.

**მიზანი 9:** მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

**მიზანი 10:** უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.

**მიზანი 11**: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

**მიზანი 12:** მდგრადი მოხმარება და წარმოება.

**მიზანი 13:** კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.

**მიზანი 14:** ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.

**მიზანი 15:** დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

**მიზანი 16:** მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

**მიზანი 17:** პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. *(http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.WiLgSCugfIV).*

ამგვარად, მდგრადობა და უსაფრთხოება ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია.

ეკონომიკის მდგრადობა ასახავს მისი ელემენტების, ვერტიკალური, ჰორიზონტალური და სხვა სახის კავშირების სიმყარეს სისტემის შიგნით, უნარს გაუძლოს შიგა და გარე წინააღმდეგობებს, აღადგინოს ნორმალური მდგომარეობა რომელიმე შიგა ან გარე ფაქტორის ზეგავლენით მოულოდნელი დარღვევის შემდეგ. *(Сенчагов В.К. (2002) Экономическаябезопасность: геополитика, глобализация, самосохранениеиразвиьие.*

*Книга четвертая. ст.34).* რაც უფრო მდგრადია ეკონომიკური სისტემა, მით უფრო სიცოცხლისუნარიანია ეკონომიკა, ე.ი. მისი უსაფრთხოების მაჩვენებელი მაღალია.

ისევე, როგორც უსაფრთხოების შემთხვევაში, მიღებულია ეკონომიკური უსაფრთხოების შემდეგი დონეების განხილვა:

- საერთაშორისო (გლობალური და რეგიონული) ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ლოკალური (რეგიონული და დარგობრივი) ეკონომიკური უსაფრთხოება;
- კერძო (პიროვნების და ფირმის) ეკონომიკური უსაფრთხოება.

საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს თანაცხოვრებისა და ინსტიტუციური სტრუქტურების საერთაშორისო პირობების ისეთ კომპლექსს, რომლის დროსაც მსოფლიო თანამეგობრობის თითოეული სახელმწიფოსთვის უზრუნველყოფილია ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკუთარი სტრატეგიის არჩევანის თავისუფლება.

**ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სისტემის ისეთ მდგომარეობას გულისხმობს, რომლის დროსაც, არსებული და მოსალოდნელი მუქარების პირობებში, გარანტირებულია ეროვნული ინტერესების დაცვა, ეკონომიკის მდგრადობა და განვითარება.** მას რთული სტრუქტურა გააჩნია და გულისხმობს ეკონომიკის განვითარების, გრძელვადიანი ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის საზო-

გადოებრივი თანხმობის მაღალ დონეს. მისი მიღწევა თვით ეკონომიკურად განვითარებულ და სოციალურად სტაბილურ ქვეყნებშიაც კი, სადაც ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული და ეფექტური პოლიტიკური სისტემებია, მაინც შეფარდებითია, რადგანაც ცალკეული სახის საფრთხეები და გარე ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედების ალბათობა ასეთ ქვეყნებშიაც კი შენარჩუნებულია.

ლოკალური (რეგიონული ან დარგობრივი) ეკონმიკური უსაფრთხოება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პირობებს ითვალისწინებს რეგიონის და დარგის დონეზე.

რაც შეეხება ფირმის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, იგი გულისხმობს იურიდიული, საწარმოო ურთიერთობებისა და ორგანიზაციული კავშირების, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ფირმის სტაბილური ეფექტიანი ფუნქციონირება, ფინანსური წარმატება, ტექნოლოგიური, სამეცნიერო, სოციალური და სხვა სახის განვითარება.

პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს თითოეული მოქალაქისათვის ცხოვრებისა და კეთილდღეობის მაღალი დონის დაკმაყოფილებას. იგი ემყარება სოციალურ და მატერიალურ მხარეებს, ადამიანის ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობის არსებობას და მოიცავს ადამიანის ისეთი ფასეულობების უზრუნველყოფას, როგორიცაა: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, ბედნიერება, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ნათელ გამოხატულებას პოულობს სტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებში. კერძოდ, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შემდეგი ძირითადი პრინციპების რეალიზებას ემყარება:

- განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინებას;
- გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრას;
- ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას;
- ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ეროვნულ უსაფრთხოებასთან თავსებადობას;
- საერთაშორისო უსაფრთხოებასთან თავსებადობას. *(საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. (2003) სერპსკი-ს შრომების კრებული, VII ტ. გვ. 38)*

ყველაზე ფართო მიდგომით *(საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. (2003) სერპსკი-ს შრომების კრებული, VII ტ. გვ. )* ეკონომიკური უსაფრთხოება შემდეგი ძირითადი **კომპონენტებისაგან** შედგება:

- ადამიანის უსაფრთხოება;
- მაკროეკონომიკური უსაფრთხოება;
- მეზოეკონომიკური უსაფრთხოება;
- მიკროეკონომიკური უსაფრთხოება;

- მეგაეკონომიკური უსაფრთხოება.

**ადამიანის ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ელემენტებია:**

- ადამიანის განვითარების პოტენციალის დონე და ცხოვრების ხარისხი;
- ადამიანის შრომითი, სასურსათო, ეკოლოგიური, საგანმანათლებლო, ინფორმაციული, ფიზიკური, ფსიქოლოგიური უსაფრთხოება;
- ადამიანის გაფართოებული კვლავწარმოების ეკონომიკა;
- ადამიანის კვლავწარმოების სფეროში ეკონომიკური სტრუქტურა და ეფექტიანობა;
- ადამიანური კაპიტალის კონკურენტუნარიანობა;
- ადამიანის კვლავწარმოების სექტორის ადგილი ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში.

**მაკროეკონომიკური უსაფრთხოება მოიცავს:**

- რეალური და ვირტუალური ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობებისა და ღონისძიებების განსაზღვრას;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის, გაფართოებული კვლავწარმოების ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენას;
- ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგანი და გარეგანი მუქარების მრავალფეროვანი სპექტრის ჩამოყალიბებას.

**მეზოეკონომიკური უსაფრთხოების** დამკვიდრება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრად ტრაექტორიაზე გადასვლას, რეგიონთაშორისი ტექნოლოგიური და საწარმოო კომპლექსების ჩამოყა-

ლიზებას, ქვეყნის ტერიტორიული და სივრცობრივი ორგანიზაციის, ურბანიზაციისა და რურალიზაციის პროცესების ოპტიმიზაციას გულისხმობს და შესაბამისად ქვეყნის მაჩვენებლები დიფერენცირებულია რეგიონის დონეზე.

**მიკროეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ელემენტებია:**

- განვითარებული ბაზრების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- კონკურენციული და პარტნიორული ურთიერთობების რაციონალიზაცია;
- მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის თანაფარდობის ოპტიმიზაცია;
- საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების განვითარება;
- საწარმოების უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;
- ქსელური ფირმების გავრცელება;
- რესურსული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასურსათო, ენერგეტიკული, სანედლეულო, ინფორმაციული, კომუნიკაციური, საშუამავლო-სავაჭრო უსაფრთხოების სისტემის დამკვიდრება;
- ნანოტექნოლოგიების გავრცელების კვალობაზე ნანოეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალიზება;
- უპირატესად არაგანახლებადი რესურსების გამოყენებიდან უპირატესად განახლებადი რესურ-

სების გამოყენებაზე გადასვლის უზრუნველყოფა.

**ქვეყნის მეგაეკონომიკური უსაფრთხოება მოიცავს:**

- ეკონომიკის რესურსული დამოუკიდებლობის მიღწევას;
- ეკონომიკური ზრდისა და ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას;
- ინტეგრაციულ გაერთიანებებში ქვეყნის წარმატებულ თანამონაწილეობას;
- გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციას.

## 1.3. ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები და ინდიკატორები

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ნაწილია და პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. მისი უზრუნველყოფა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საერთო კონტექსტში ხორციელდება და ეროვნული ინტერესების მიზნების რეალიზაციას ემსახურება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები წარმოადგენენ ნორმატიული ხასიათის მაჩვენებლებს, რომლებიც რაოდენობრივ ფორმაში ასახავენ ეკონომიკური უსაფრთხოების პარამეტრებს. ამასთან, მათ გააჩ-

ნიათ ურთიერთკავშირის მაღალი ხარისხი და ერთიანობაში (ვიდრე ცალ-ცალკე) ასრულებენ ინდიკატორის ფუნქციას.

ეკონომიკური უსაფრთოების ინდიკატორების კონკრეტული მნიშვნელობები წარმოადგენენ სიგნალს ეკონომიკური სიტუაციის ცვლილების მიმართულებაზე. იმაზე, თუ რამდენად პოზიტიური მიმართულებით ხორციელდება ეკონომიკური განვითარება, რამდენად ეფექტურია მთავრობის მიერ განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა კლასიფიკაცია ყველაზე გავრცელებული მიდგომით შემდეგნაირად ხორციელდება:

- საერთო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები;
- საბაზო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები;
- კერძო საწარმოო მაჩვენებლები;
- კერძო სოციალური მაჩვენებლები.

ასევეა მიღებული ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა შემდეგნაირი დაყოფა:

- ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უნარი;
- ინვესტიციური უსაფრთხოების მაჩვენებლები;
- მეცნიერული პოტენციალის განვითარების მაჩვენებლები;
- საგანმანათლებლო პოტენციალის განვითარების მაჩვენებლები;
- სტრატეგიული რესურსების კვლავწარმოების მაჩვენებლები;
- ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლები;
- სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლები;

- საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვე-ნებლები.

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების სისტემა შემდეგ სახეს ღებულობს *(საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. (2003) სერპსკი-ს შრომების კრებული, VII ტ. გვ. 129-132):*

**1. ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უნარის მაჩვენებლები**

- მშპ-ის მოცულობა ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში;
- ადამიანური პოტენციალის განვითარების ინ-დექსი ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში;
- მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყანაში და რეგიონებში;
- მსოფლიოში და განვითარებული ქვეყნების ჯგუფში საშუალო დონესთან თანაფარდობა;
- მშპ-ის ზრდის ტემპი;
- ეკონომიკური ზრდის კონკურენტუნარიანობა;
- ეკონომიკური ზრდის ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობა;
- ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსი;
- ინტერნეტიზაციის დონე;
- განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-ში;
- მეცნიერებაზე დანახარჯების წილი მშპ-ში;
- თავისუფლების ინდექსი;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში;

- დამნაშავეობის ინდექსი;
- ინფლაციის დონე;
- მატერიალური წარმოების წილი მშპ-ში;
- ინფორმაციული სექტორის წილი მშპ-ში;
- მომსახურების წილი მშპ-ში;
- საცალო ვაჭრობის წილი მშპ-ში;
- მრეწველობის წილი მშპ-ში;
- აგროსამრეწველო კომპლექსის წილი მშპ-ში;
- სამრეწველო პროდუქციის მოცულობა;
- ახალი პროდუქციის წილი გამოშვებულ პრო-დუქციაში;
- წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები ქვეყა-ნასა და მის რეგიონებში;
- მცირე ბიზნესის წილი მშპ-ში;
- ძირითადი კაპიტალის დაგროვება;
- მთლიანი დაგროვება;
- მთლიანი დანაზოგები.

2. **ინვესტიციური უსაფრთხოების მაჩვენებლები**
   - ინვესტიციების წილი მშპ-ში;
   - ინვესტიციების ზრდის ტემპი;
   - სამამულო და უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში;
   - უცხოური ინვესტიციების მოცულობა;
   - საწარმოო დანიშნულების ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში;
   - არასაწარმოო ინვესტიციების წილი მთლიან ინ-ვესტიციებში;
   - ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში;

- ინვესტიციები მეცნიერებაში;
- წმინდა ინვესტიციების წილი მშპ-ში და მისი დინამიკა;

**3. მეცნიერული პოტენციალის განვითარების მაჩვენებლები**

- მეცნიერების დაფინანსების დინამიკა და მოცულობა;
- მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა და სტრუქტურა;
- უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერების საშუალო ასაკი;
- სამეცნიერო მოწყობილობების საშუალო ასაკი.

**4. საგანმანათლებლო პოტენციალის განვითარების მაჩვენებლები**

- განათლების დაფინანსების დინამიკა და მოცულობა;
- მასწავლებელთა რაოდენობა და სტრუქტურა;
- საშუალო სკოლადამთავრებულთა რაოდენობის დინამიკა;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა სკოლამდელ დაწესებულებებში;
- სახელმწიფო ბიუჯეტში დანახარჯები უმაღლეს განათლებაზე;
- ბიუჯეტის ხარჯზე მოსწავლეთა რაოდენობა.

**5. სტრატეგიული რესურსების კვლავწარმოების მაჩვენებლები**

- მარცვლეულის წარმოება და მოხმარება;
- ხორცის წარმოება და მოხმარება;
- შაქრის წარმოება და მოხმარება;

- ნავთობის მოპოვება და მოხმარება;
- გაზის მოპოვება და მოხმარება;
- ელექტროენერგიის გამომუშავება და მოხმარება;
- სასმელი წყლის მოპოვება და მოხმარება;
- მინერალური წყლების მოპოვება და მოხმარება;
- სამრეწველო წყლის მოპოვება და მოხმარება;
- ხე-ტყის მოპოვება და მოხმარება;
- მარგანეცის მოპოვება და მოხმარება;
- ცემენტის წარმოება და მოხმარება;
- ოქროს მოპოვება და მოხმარება.

**6. ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლები**

- სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა და დინამიკა;
- საშინაო და საგარეო ვალის დონე და წილი მშპ-ში;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა;
- ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის საშინაო და საგარეო წყაროები;
- ზარალიანი ფირმების წილი ფირმათა საერთო რაოდენობაში;
- ფირმათა კრედიტორული დავალიანების მოცულობის თანაფარდობა გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან;
- წარმოების რენტაბელობა;
- საპროცენტო განაკვეთი;
- მონეტიზაციის დონე;
- ფულის მასის მიმოქცევის სიჩქარე;
- სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში;

- მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო ვალის მოცულობის თანაფარდობა მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო ფულად შემოსავლებთან;
- საგარეო ვალის მომსახურების წილი მშპ-ში;
- საგარეო ვალის მომსახურების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში;
- სავალუტო კურსის დინამიკა;
- დოლარიზაციის დონე;

**7. სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლები**

- მოსახლეობის რაოდენობა;
- მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი;
- მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი;
- სიცოცხლის ხანგრძლივობა;
- მოსახლეობის ბუნებრივი მატება;
- შობადობა;
- სიკვდილიანობა. მათ შორის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა;
- მიგრაციის სალდო;
- ჯანმრთელობაზე დანახარჯების წილი მშპ-ში;
- საარსებო მინიმუმი;
- საარსებო მინიმუმის ზრდის ტემპი;

**8. საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები**

- ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა და ზრდის ტემპები;
- ექსპორტისა და იმპორტის წილი მშპ-ში;

- სავაჭრო ბალანსის დინამიკა;
- მიმდინარე ბალანსის დინამიკა;
- პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა;
- კაპიტალის ბალანსის დინამიკა;
- საგადასახდელო ბალანსის დინამიკა;
- სავალუტო რეზერვების დინამიკა;
- კაპიტალის გადინების დინამიკა;
- საგარეო ვალის დინამიკა;
- საგარეო ვალის მომსახურების წილი ბიუჯეტში;
- საგარეო ვალის წილი მშპ-ში;
- ლარის კურსის დინამიკა დოლარის, ევროს და მანეთის მიმართ.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დახასიათებისათვის ასევე ხშირად გამოიყენება ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალური ინდიკატორების სისტემა, რომელიც მოიცავს:

- ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორები;
- სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები;
- ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები;

**ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორებს** მიეკუთვნება:

- მშპ-ის ზრდის ტემპი;
- მშპ-ს დაცემა საბაზო დონესთან შედარებით;
- ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი მშპ-ში;
- ინოვაციური პროდუქციის წილი სამრეწველო პროდუქციაში;
- ბიუჯეტის დეფიციტი;

- მეცნიერებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში;
- ტექნოლოგიური განვითარების ინდექსი;
- მოსახლეობის მიერ კომპიუტერების ფლობა და ინტერნეტში ჩართვა;
- საქონლის ექსპორტის წილი მშპ-ში;
- მოსახლეობის ერთ სულზე საქონლის ექსპორტის მოცულობა;
- ექსპორტით იმპორტის გადაფარვა;
- 1000 სასოფლო-სამეურნეო მუშაკზე ტრაქტორების რაოდენობა;
- მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წილი ექსპორტში;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში.

**სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორებია:**

- უმუშევრობის დონე;
- ხელფასის წილიმ შპ-ში;
- შრომის ანაზღაურების მინიმალური და საშუალო დონის თანაფარდობა;
- საბინაო ფართი მოსახლეობის ერთსულზე;
- შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ-ში;
- მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმარება;
- ჯინის ინდექსი;
- სიღარიბისზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი;
- დეცილური კოეფიციენტი;
- დეპოპულაციის დონე;
- დამნაშავეობის დონე.

**ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორებს** წარმოადგენს:

- მონეტიზაციის დონე;
- საგარეო ვალის წილი მშპ-ში;
- შიგა ვალის წილი მშპ-ში;
- საერთო ხარჯებში სახელმწიფო ვალის წილი;
- ინფლაციის დონე;
- სახელმწიფო გასავლების წილი მშპ-ში;
- გადასახადების აკრეფის დონე მშპ-ს მიმართ.

ეკონომიკური უსაფრთხოების წარმოდგენილი ინდიკატორები ყოველმხრივ და სრულად აფასებენ ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ სიტუაციას. ამასთანავე, ამ ინდიკატორებს შორისაც არსებობს მნიშვნელობის მიხედვით კლასიფიკაცია. კერძოდ,**ეკონომიკური უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორებს** წარმოადგენენ:

- ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი;
- მოსახლეობის რაოდენობა და დინამიკა;
- მშპ-ს მოცულობა და დინამიკა;
- მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე;
- ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში;
- ინვესტიციები ძირითად კაპიტალში;
- სიღარიბის დონე;
- დეცილური კოეფიციენტი;
- ჯინის კოეფიციენტი;

- მინიმალური ხელფასის მიმართება საარსებო მინიმუმთან;
- ხელფასის წილი მშპ-ში;
- უმუშევრობის დონე;
- ინფლაციის ტემპი;
- ეკონომიკური ზრდის ტემპი;
- ეკონომიკური ზრდის კონკურენტუნარიანობა;
- ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობა;
- ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსი;
- ინტერნეტიზაციის ინდექსი;
- ინფორმაციული სექტორის წილი მშპ-ში;
- სამრეწველო პროდუქციის წილი მშპ-ში;
- ინვესტიციების წილი მშპ-ში;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი;
- საშინაო და საგარეო ვალის წილი მშპ-ში;
- ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი;
- საგადასახადო ბალანსის სალდო;
- იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში;
- ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მდგრადობის ხარისხი;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში;
- დამნაშავეობის დონე;
- თავისუფლების ინდექსი *(საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტი. თბილისი, 2003. გვ.17)*

**ცხრილი 1.**

## “ კოპენჰაგენის კრიტერიუმები”

| # | ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები | ზღვრული მნიშვნე-ლობა |
|---|---|---|
| 1 | მშპ-ის საშუალო-წლიური მატება (ბოლო ოთხი წლის საშუალო) (%) | 3,1 |
| 2 | მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუნარიანობის პარი-ტეტის გათვალისწინებით (ევრო) | 4900 |
| 3 | ინვესტიციების წილი მშპ-ში (%) | 22,82 |
| 4 | უცხოური ინვესტიციები მოსახლე-ობის ერთ სულზე (ევრო) | 83 |
| 5 | საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში (%) | 32 |
| 6 | ბიუჯეტის დეფიციტი (%) | 3,3 |
| 7 | საგარეო ვალის მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში (%) | 36 |
| 8 | უმუშევრობის დონე მკაცრი კრი-ტერიუმით (%) | 10,9 |
| 9 | საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკა-ცის საარსებო მინიმუმის მიმართ (%) | 100 |
| 10 | მრეწველობაში ინვესტიციების წი-ლი საერთო ინვესტიციებში (%) | 39 |
| 11 | სამრეწველო საქონლის წარმოების მატების ტემპი | 4,3 |
| 12 | მრეწველობის წილი მშპ-ში (%) | 27 |
| 13 | საქონლის ექსპორტი მოსახლეო-ბის ერთ სულზე (ევრო) | 476 |
| 14 | საქონლის ექსპორტი მშპ-ის მი-მართ (%) | 16,2 |

| | | |
|---|---|---|
| 15 | ექსპორტით იმპორტის გადაფარვა (%) | 74,6 |
| 16 | ევროკავშირთან საქონლის ვაჭრობის წილი საერთო ვაჭრობის მოცულობაში (%) | 43,6 |

ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდიკატორების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრას. ინდიკატორების ზღვრული სიდიდეებისთვის კონკრეტული მნიშვნელობების მინიჭება კი ერთ-ერთი რთული და შრომატევადი ეტაპია ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა ზღვრული მნიშვნელობების დადგენისას განსხვავებული მიდგომები არსებობს. ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნებში გავრცელებულია ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" გამოყენება, რომელიც ფორმირებულია ბულგარეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთისა და სლოვაკეთის მაჩვენებლების გასაშუალოებით და აქცენტირებას აკეთებს ევროკავშირში ამ ქვეყნების მიღებისას მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებულ დონეზე. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული კრიტერიუმები მხოლოდ ნაწილობრივ ახასიათებენ ევროპისკავშირის სივრცესთან თავსებადობის დონეს. ამასთან, ამ კრიტერიუმების შემუშავებიდან უკვე დიდი დროა გასული. ჩვენი აზრით, სხვა მრავალ (საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.) ასპექტთან ერთად, რომელთა გარკვეულწილად შეჯერება შესაძლებელია, ასევე მნიშვნელოვანია მენტალური თავსებადობა, რო-

მელიც დროთა განმავლობაში მრავალი რთული და ტრანსცედენტური ფაქტორების ზეგავლენით ყალიბ-დება.

სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობ-ლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონო-მიკური უსაფრთხოების სტრატეგიული კვლევის ცენ-ტრის მიერ შემუშავებული ინდიკატორების საფუძველ-ზე, "კოპენჰაგენის კრიტერიუმების" და პოსტსოცია-ლისტური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინე-ბით, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალური ინდიკატორების ზღვრული მაჩვენებლები *(კ. ციმინტია (2009) ეკონომი-კის სახელმწიფოებრივი რეგულირება (ეკონომიკური უსაფრთხოების ასპექტები))*, რომელთა კონკრეტული მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილ 2-ში.

**ცხრილი 2.**

**საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული ინდიკატორები**

| # | მაჩვენებლის დასახელება | ზღვრული მნიშვნე-ლობა |
|---|---|---|
| **მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდი-კატორები** | | |
| 1 | მშპ-ის ზრდის ტემპი (ბოლო ოთხი წლის საშუალო) (%) | 3,1 |
| 2 | მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუნარიანობის პარი-ტეტის (PPP) გათვალისწინებით (დოლარი) | 6000 |
| 3 | ინვესტიციების წილი მშპ-ში (%) | 22,82 |

| | | |
|---|---|---|
| 4 | ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი | 0,80 |
| 5 | სამრეწველო საქონლის წარმოების მატების ტემპი (%) | 4,3 |
| 6 | ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი მშპ-ში (%) | 25 |
| 7 | ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის მიმართ (%) | 3,0 |
| 8 | მეცნიერებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში (%) | 2,0 |
| 9 | განათლებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში (%) | 2,0 |
| 10 | საქონლის ექსპორტის წილი მშპ-ში (%) | 16,2 |
| 11 | მოსახლეობის ერთ სულზე საქონლის ექსპორტის მოცულობა (ევრო) | 476 |
| 12 | ექსპორტით იმპორტის გადაფარვა (%) | 74,6 |
| 13 | ექსპორტში მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წილი (%) | 5-10 |
| 14 | ტექნოლოგიური განვითარების ინდექსი ყოველ 1000 მცხოვრებზე | 2,5 |
| 15 | მოსახლეობის მიერ კომპიუტერების ფლობა (%) | 50 |
| 16 | 1000 სასოფლო-სამეურნეო მუშაკზე ტრაქტორების რაოდენობა (ცალი) | 160 |
| 17 | ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში (%) | 15-20 |
| **სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები** | | |
| 1 | უმუშევრობის დონე მკაცრი კრიტერიუმით (%) | 10 |

| | | |
|---|---|---|
| 2 | ხელფასის წილი მშპ-ში (%) | 60-70 |
| 3 | შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ—ში (%) | 65-70 |
| 4 | მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმარება (კვტ.სთ წელიწადში) | 2600 |
| 5 | შრომის ანაზღაურების მინიმალური და საშუალო დონის თანაფარდობა | 1:3 |
| 6 | ჯინის ინდექსი (ეკვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით) | 24 |
| 7 | სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი (%) | 10 |
| 8 | დეცილური კოეფიციენტი (სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით) | 10:1 |
| 9 | საშუალოთვიური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ (%) | 100 |
| 10 | დამნაშავეობის დონე 10000 კაცზე | 500 |
| 11 | დეპოპულაციის დონე | 100:100 |
| **ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები** | | |
| 1 | მონეტიზაციის დონე (%) | 50 |
| 2 | საგარეო ვალების წილი მშპ-ში (%) | 30 |
| 3 | შიგა ვალების წილი მშპ-ში (%) | 30 |
| 4 | საერთო ხარჯებში სახელმწიფო ვალის მომსახურების წილი (%) | 20 |
| 5 | ინფლაციის დონე (%) | 5-6 |
| 6 | სახელმწიფო ვალების წილი მშპ-ში (%) | 40-50 |
| 7 | საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში (%) | 32 |

აღსანიშნავია, რომ ზღვრული ინიკატორები მიუთითებენ კონკრეტული მაჩვენებლების ისეთ დონეს, რომელზე დაბალიც არასასურველია ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. ამასთან, რამდენადაც თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ძალზე დინამიკურია, პერიოდულად უნდა მოხდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული ინდიკატორების გადასინჯვა და თანამედროვე პირობებთან და რეალიებთან მისადაგება. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 3,1 %-იანი ტემპი, საქართველოსთვის ნეგატიურ მაჩვენებლად შეიძლება იქნას განხილული, რადგანაც აღნიშნული პარამეტრის პირობებში ქვეყანაში ვერ მოხდება არსებითი სოციალურ-ეკონომიკური პერმუტაცია. ამასთან, იგი გვიჩვენებს იმ ზღვარს რომლის ქვევითაც ეკონომიკაში მნიშვნელოვან არასასურველ პროცესებს ექნება ადგილი. თუმცა, განვითარების მიმდინარე ეტაპისთვის საქართველოსთვის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალისტურ მაჩვენებელს 5-7 %-იანი ზრდა წარმოადგენს, ხოლო პოზიტიურს 7-15 %-იანი.

# თავი II. ეკონომიკური უსაფრთხოების პარამეტრები საქართველოში

## 2.1. ძირითადი ისტორიული გამოწვევები და ეკონომიკური მუქარები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა თავისი ევროპული კურსი და შეძლო გაეზარდა თავისი ეკონომიკური მაჩვენებლები, ცხადია, რომ არსებითი ხასიათის პერმუტაცია მხოლოდ ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაციის შემდგომაა მოსალოდნელი. ამიტომაც დღევანდელი ეტაპი, ჩვენი სამშობლოს განვითარებაში, უაღრესად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. აუცილებელია მიღწეულის შემდგომი განვითარება, არსებული ნაკლოვანებების უსწრაფესი აღმოფხვრა, რათა რაც შეიძლება მოკლე პერიოდში მიღწეულ იქნას განვითარების შესაბამისი და მისაღები პარამეტრები.

არსებული პირობები და მიმდინარე პროცესები განსაზღვრავენ საქართველოს მუდმივ სწრაფვას ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მისაღები პარამეტრების მიღწევის სფეროში, რამდენადაც სწორედ აღნიშნული მიმართულებები განაპირობებენ საქართველოს, როგორც აქტიური და თანაბარუფლებიანი წევრის მონაწილეობის ხარისხს, როგორც მსოფლიო, ისევე რეგიონული მნიშვნელობის მოვლენებში.

ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ქვეყნის წინაშე მდგარი ისტორიული გამოწ-

ვევები, ამ გამოწვევებისადმი მზადყოფნის მექანიზმე-ბი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონ-ცეფციის შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების წი-ნაშე მდგარ **საფრთხეებად, რისკებად და გამოწვევე-ბად** განსაზღვრულია:

1. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერი-ტორიების ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიე-ბიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტები.
2. რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი.
3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილ-თა უფლებების დარღვევა.
4. კავკასიაში არსებული კონფლიქტები.
5. საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონა-ლური ორგანიზებული დანაშაული.
6. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები.
7. ენერგეტიკული გამოწვევები.
8. კიბერსაფრთხეები.
9. ეკოლოგიური გამოწვევები.
10. დემოგრაფიული გამოწვევები.
11. სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები.
12.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანე-ბა/განადგურება. *(საქართველოს ეროვნული უსაფ-რთხოების კონცეფცია. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx)*

ცხადია, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან, მუქარებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარეობს მისი ეკონომიკური ინტერესები, მუქარები და გამოწვევები.

ძირითად **ეკონომიკურ ინტერესებს** შორის მნიშვნელოვანია:

- ❖ ერთიანი ეკონომიკური სივრცის უზრუნველყოფა;
- ❖ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;
- ❖ საქართველოს გადაქცევა საერთაშორისო ეკონომიკის აქტიურ სუბიექტად;
- ❖ ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლა.

ასევე აღსანიშნავია, ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური მუქარები.

კერძოდ, **შინაგანი ეკონომიკური მუქარებიდან** განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ❖ ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური სივრცის მოშლა;
- ❖ მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის მაღალი დონე და სიღარიბის ზრდის ტენდენცია;
- ❖ ეროვნული ეკონომიკისა და სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე;
- ❖ ინოვაციური და საინვესტიციო აქტივობის დაბალი დონე;
- ❖ ქვეყნის ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე, მათი განვითარების უთანაბრობა;

- ❖ უმუშევრობის ზრდა და შრომის მოტივაციის შესუსტება.

**გარეშე ეკონომიკური მუქარებიდან** კი გამოირჩევა:

- ❖ ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე. მისი მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის დაბალი ხარისხი;
- ❖ საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებისადმი ტექნოლოგიური, მენეჯმენტური, ინტელექტუალური და ინფორმაციული შეუთავსებლობა;
- ❖ ეკონომიკური საზღვრების დაუცველობა;
- ❖ კაპიტალის გადინება;
- ❖ ქვეყნის დამოკიდებულება საზღვარგარეთიდან რიგი სტრატეგიული რესურსების იმპორტზე.

ამგვარად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის უმთავრეს გამოწვევად კვლავაც რჩება ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. კერძოდ, სახეზეა უმთავრესი ეროვნული ინტერესის უზრუნველყოფის ერთერთი ფუძემდებლური ფაქტორის, მამოძრავებელი ძალის – ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, დეზინტეგრაციული და სეპარატისტული ტენდენციები.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ისტორიულ გამოწვევად რჩება ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები, რადგანაც სუსტად განვითარებული ეკონომიკა ეროვნული უსაფრთხოებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ამავდროულად, იგი ხდება საფუძველი

სოციალური დიფერენციაციისათვის, აქედან გამომდინარე არსებულმა სოციალურმა დაძაბულობამ კი შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის მდგრად, სტაბილურ და უსაფრთხო განვითარებას.

## 2.2. საქართველოს ეკონომიკის რეტროსპექტიული ანალიზი

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება მნიშვნელოვანი, რადიკალური ცვლილებებით ხასიათდება. კერძოდ, ერთმანეთს დაემთხვა, ნებისმიერი საზოგადოებისათვის რთული და მნიშვნელოვანი, პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა-განმტკიცებისა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების ისტორიული, შესაბამისად მენტალური ცვლილებების პროცესები.

თუ დავაკვირდებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გამოცდილებას, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე მათ მსგავსი სასტარტო პირობები ქონდათ, არჩეული განვითარების მიმართულებებიდან გამომდინარე, პირობითად შეგვიძლია მათი დიფერენცირება რამდენიმე ჯგუფად. პირველი ჯგუფის ქვეყნებმა (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) სწრაფად შეძლეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და შესაბამისად მაღალი ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდებიან. მეორე ჯგუფის ქვეყნებმა (მათ შორის საქართველომ) თავიანთ მიზნად ევ-

როატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განსაზღვრეს და შესაბამისად დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ეკონომიკური სისტემის მშენებლობის რთულ გზას გადიან. რაც შეეხება მესამე ჯგუფის ქვეყნებს, ისინი არ არიან დასავლურ ფასეულობებზე ორიენტირებული და ეკონომიკური ზრდის ტემპების მიუხედავად, მათ პოლიტიკურ სისტემას უფრო ავტორიტარული ელფერი დაჰკრავს.

1990 წელს დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველო შეხვდა, როგორც საბჭოთა კავშირის მეტნაკლებად განვითარებული რესპუბლიკა, ამ სისტემისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სტრუქტურებითა და ცხოვრების დონით. დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების პირველი წლები ქვეყნისთვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა. ობიექტურად გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირების, ძველი ბაზრებისა და მიმწოდებლების დაკარგვასთან ერთად, ქვეყანა აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეთნოპოლიტიკური ომების წინაშე, რამაც ცხადია, ქვეყნის განვითარებაზე არსებითი ხასიათის, მნიშვნელოვანი, ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა. ქვეყანა სისტემური კრიზისის ხანგრძლივ და ქრონიკულ ფაზაში აღმოჩნდა.

1990 წელს არჩევნების გზით მოსულმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ადმინისტრაციამ ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაში ძირეული ცვლილებები განახორციელა და რეფერენდუმის გზით დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ამასთან, შემუშავებულ იქნა ეკონომიკური რეფორმების მიმართულებები, რომელიც

სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში კონვერგენციის თეორიის გამოყენების მიზანშეწონილობას აღიარებდა *(ჭითანავა ნ. (2000) საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა (თეორიულ-მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული ასპექტები). შრომების კრებულში ,,საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. Vტომი. გვ. 10.),* თუმცა დაპირისპირებისა და შესაბამისად, ხელისუფლების ძალისმიერი ცვლის გამო, აღნიშნული ვერ განხორციელდა. შექმნილმა ექსტრემალურმა სიტუაციამ ცხადია, ნეგატიურად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, კიდევ უფრო გაამწვავა ფორმირების გზაზე მდგარი სახელმწიფოს პრობლემები და ასახვა უკიდურესად უარყოფით მაჩვენებლებში პოვა. კერძოდ, 1990-93 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი წლიურად 28%-ით მცირდებოდა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით 1 სულზე 1990 წელს არსებული 4433 აშშ დოლარიდან 1993 წლისთვის 1437 აშშ დოლარამდე დაეცა *(WWW.data.worldbanc.org)*. ამასთან, თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საშუალოდ რეცესია 7 წელს, ხოლო კუმულატიური წარმოების შემცირება 51%-ს შეადგენდა, საქართველოსთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა 5 წელი და 78% შეადგინა *(საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი (შუალედური ანგარიში). ,,ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი. გვ. 9-10.http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim-*

_Report_geo.pdf). ეკონომიკური სტაგნაცია საქართველოში მოხდა სწრაფად და მოკლე პერიოდში ქვეყნის ეკონომიკამ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ყველაზე ღრმა დაცემა განიცადა.

აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის ორი ძირითადი მიმართულებიდან - ,,შოკური თერაპია" და გრადუალური *(პაპავა ვ. (2002). პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. გვ. 21)*, საქართველოში აქცენტი შოკურ თერაპიაზე გაკეთდა. როგორც ცნობილია, მისი შინაარსი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული სცენარიდან გამოდის, როცა ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია (ან მინიმიზაცია მაინც) და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება, ფულის ნომინალური მასის ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში, დროის მოკლე პერიოდში ხდება *(პაპავა ვ. (2002). პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. გვ. 21)*. ამასთან, საქართველოში რეფორმირების პროცესში არსებული ობიექტური, თუ სუბიექტური ხასიათის პრობლემებიდან გამომდინარე, ,,შოკური თერაპია" ,,მაქსიმალური შოკი და მინიმალური თერაპიის" პრინციპით წარიმართა.

ეკონომიკური კრიზისის მასშტაბებს განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებენ შემდეგი მაჩვენებლები: 1994 წელს 1988 წლის მიმართ, მთლიანმა შიდა პროდუქტმა – 27,8%, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ – 15,6%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ – 49,3%, კაპიტალდაბანდებებმა – 2,8%, ტვირთბრუნვის

მოცულობამ – 33,3% შეადგინა *(ჭითანავა ნ. (2000) საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა (თეორიულ-მეთოდოლოგიური, ორგანიზაციული ასპექტები). შრომების კრებულში ,,საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. V ტომი. გვ. 11.).* 1990-95 წლებში ჰიპერინფლაციამ საშუალოდ 3310,6% შეადგინა *(World Economic Outlook. Database. 2007).* კონკრეტულად, 1994 წელს კი ინფლაციის დონემ 7800%-ს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად დაეცა ცხოვრების დონე და ხარისხი, მოხდა შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის მკვეთრი დიფერენციაცია.

ასეთ მძიმე პირობებში, კრიზისის დაძლევა რადიკალური და არსებითი ხასიათის რეფორმებს მოითხოვდა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მიმართულებით, რაც მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ 1995 წელს გამხორციელებულმა ფულადმა რეფორმამ (მანამდე არსებული ფულის სუროგატი კუპონი შეიცვალა ეროვნული ვალუტით - ლარი) საფუძველი შეუქმნა 1996-97 წლებში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და მთლიანი შიდა პროდუქტის 24%-იან ზრდას *(ხადური ნ. ,,ეკონომიკური სისტემა საქართველოში". კრებულში ვუახლოვდებით ევროპას? კონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. გვ. 98. თბილისი, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი),* თუმცა იგი უფრო გრძელვადიან ტენდენციებში ვერ გადაიზარდა, შემცირდა ზრდის ტემპები, ვერ მოხერხდა საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისების, მკვეთრი სოციალური

დიფერენციაციის დაძლევა, უმუშევრობას კვლავაც კრიტიკული პარამეტრები ქონდა. ამ პერიოდის მიღწევებს შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი (1768 კმ), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) მშენებლობის დაწყება.

ამგვარად, XXI საუკუნეს საქართველო შეხვდა, როგორც ტიპური პოსტსაბჭოთა ქვეყანა: ეკონომიკური ჩამორჩენილობით, განუვითარებელი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებით, უმუშევრობის, სიღარიბის, კორუფციისა და კრიმინალის მაღალი დონით.

2003 წელს ახალმა მთავრობამ პრაქტიკულად დაიწყო ახალი, ევროპული დემოკრატიების სტილის სახელმწიფოს მშენებლობა. შესაბამისად, მოსვლის პირველივე თვეებიდან აქცენტი გააკეთა რეფორმების განხორციელებასა და წესრიგის დამყარებაზე.

ეკონომიკის სფეროში არსებული მიღწევებიდან მეცნიერ-ეკონომისტები და ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ: საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დამყარებას, საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისების დაძლევას, კორუფციასთან ბრძოლას, კანონიერი ეკონომიკური თამაშის წესების დადგენას, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას (რეფორმისტული ძალისხმევის მეტწილად ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებას), ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვან შემცირებას, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას, პრივატიზების პროცესის დაჩქარებასა და კერძო ინვესტიციების ხელშეწყობაზე აქცენტი-

რებას, საბაჟო პროცედურების გამარტივებასა და ად-მინისტრირების გაუმჯობესებას, დიდ წინსვლებს საბანკო სექტორში, ტელეკომუნიკაციებსა და საერთაშორისო ვაჭრობაში *(მაგ. Gurgenidze l. ,,Georgia"s Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economy". American Enterprise Institute eor Public Policy Research. Development Policy outlook, 2009. #2, June. http://WWW.aei.org/outlook/foreignand-defence-polisy/regional/europe/georgias-search-for-economic-liberty; სამსონი ი. განვითარების გზის ძიება: ,,საქართველოს ამოცანები". ვროპული პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები (კვარტალური მიმოხილვა), მარტი, 2006. გ.73-74; საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი (შუალედური ანგარიში). ,,ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი". გვ. 39-40.* http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf*)*.

ამასთან, აღნიშნული პერიოდის ძირითად ნეგატიურ პროცესებად (მოვლენებად) ასევე განიხილება: ფასების დონის მნიშვნელოვანი მერყეობა, მაკროეკონომიკური დისპროპორციების გაღრმავება, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, უმუშევრობის ზრდა, ელიტარული კორუფციის აყვავება, მიზანშეუწონელი და არაეფექტიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის ბალანსის გაუარესება, კერძო საკუთრების უფლების შე-

ლახვა *(მაგ. კვარაცხელია დ. საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები (ნაწილი პირველი)* http://for.ge/view.php?for_id=29818&cat=1*)*, საქართველოს ეკონომიკური მოდელის არა იმდენად წარმოების ზრდაზე, არამედ მოხმარებაზე სტიმულირება, რამაც მრავალი უარყოფითი შედეგები გამოიწვია, მათ შორის იმპორტის ექსპორტზე 4-ჯერ მეტობა *(პაპავა ვ., თაფლაძე თ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ჟურნალი ,,ეკონომისტი", 2013, №2. გვ.8)*, მთავრობის მიერ მსხვილი ბიზნესის კონტროლი *(რიმპლი პ. ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012 წლებში. თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. 2012)*, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების სიკეთის მოსახლეობის დიდ ნაწილამდე მიუღწევლობა*(საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. (პროექტი). საქართველოს მთავრობა. ნოემბერი, 2013. გვ. 2.* http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10742*).*

,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებზე, საერთოდ ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის ეკონომისტების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია *(პაპავა ვ. (2008). პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შრომები, ტომი 6. ვ.18)*, წარმოდგენილ პოზიტიურ თუ ნეგატიურ მოვლენებზე, განვლილი პერიოდის ეკონომიკურ შუქ-ჩრდილებზე კამათი ხანგრძლივად შეიძლება.




*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

ამასთან, დღეისთვის, როცა შესაძლებელია განვლილი პერიოდის როგორც რაოდენობრივი, ისევე ხარისხობრივი შეფასება, ცხადია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობამ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ეკონომიკაშიც მნიშვნელოვანი გამოცოცხლება, სისტემური კრიზისის დაძლევა და ზრდის ტრაექტორიის უზრუნველყოფა შეძლო.

აღნიშნულზე ნათლად მიუთითებს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა. 2003 წლისთვის საქართველოში რეალური და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 8,6 მლრდ ლარს (3,4 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. 2012 წლისთვის კი რეალურმა მშპ-მ 14,5 მლრდ ლარი შეადგინა, ანუ 1,7-ჯერ გაიზარდა, ხოლო ნომინალურმა – 26,2 მლრდ ლარი, ანუ 3-ჯერ მეტი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (გარდა 2009 წლისა) რეალური მშპ ზრდის (რიგ წლებში ერთობ შთამბეჭდავი) ტენდენციით ხასიათდებოდა და 2004-2012 წლებში საშუალოდ 6,1 % შეადგინა.



*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

ანალოგიური სურათია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დინამიკაშიც. კერძოდ, ერთ სულზე მთლიანმა შიდა პროდუქტმა (საბაზისო ფასებში) 2003 წელს არსებული 1 972,1 ლარიდან 2012 წლისთვის 3 254,6 ლარამდე განიცადა ზრდა, იგივე მაჩვენებელმა აშშ დოლარებში საანალიზო პერიოდისთვის 926,2-დან 3 230,7აშშ დოლარამდე განიცადა ზრდა (3,5-ჯერ), ხოლო მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით (PPP) 926,2 დოლარიდან 6800 დოლარამდე (7,3-ჯერ).




*წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* [*WWW.GeoStat.ge*](http://WWW.GeoStat.ge)*;*[*WWW.ttimes.ge/archives/28058http://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения*](http://WWW.ttimes.ge/archives/28058http://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения)

ცხადია, პოზიტიური ტენდენციებია ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაშიც მიმდინარე ფასებში. კერძოდ, 2003 წელს არსებული 1 972,1 ლარიდან იგი 2012 წლისთვის 5 818,1 ლარამდე გაიზარდა.

ასევე უდავოა, რომ დაძლეულ იქნა საბიუჯეტო კრიზისი, რის შედეგადაც გაცემულ იქნა წლობით გაუცემელი პენსიები და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები. სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების, კორუფციის შემცირების ხარჯზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა (8-ჯერ) საბიუჯეტო შემოსავლები (2003 წელს არსებული 0,93 მლრდ ლარიდან, 2012

წელს 7,1 მლრდ ლარამდე). რამაც ქვეყანას პენსიების (10,7-ჯერ), ხელფასების (4,5-ჯერ) ზრდისა და ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პროექტების განხორციელების საშუალება მისცა.

ასევე დაძლეულ იქნა ენერგეტიკული კრიზისი. ამ სფეროში გატარებულმა რეფორმებმა და სწორმა მენეჯმენტმა პრობლემა სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვიტა.

მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციებით ხასიათდებოდა ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი – ინვესტიციები. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2003 წელს არსებული 340,1 მლნ აშშ დოლარიდან 2007 წლისთვის 2 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2012 წელს 911,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

განხილული მაჩვენებლების პოზიტიური დინამიკა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ საქართველოში დაძლეულ იქნა სისტემური ეკონომიკური კრიზისი და მისი განვითარების ვექტორი ზრდის ტრაექტორიაზე გავიდა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში მაინც ვერ იქნა დაძლეული სიღარიბე, კვლავაც მაღალია უმუშევრობა, რომელიც საანალიზო პერიოდში 11,5 %-დან (2003 წ) 15,0 %-მდე (2012 წ) გაიზარდა, ხოლო დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა. ასევე, მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, ცხადია, რომ არსებული ზრდის ტემპები არასაკმარისი აღმოჩნდა სიტუაციის სწრაფი პერმუტაციისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის არსებითი ამაღლებისათვის.

2013 წლიდან აქცენტი კეთდება ეკონომიკაში სოციალურ ორიენტირებულობაზე, ადგილობრივი წარმოების სტიმულირებასა და აგრარული სექტორის, როგორც ქვეყნის ტრადიციული და მნიშვნელოვანი დარგის პრიორიტეტულობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე არსებითად გაიზარდა ბიუჯეტში სოციალური პროგრამების დაფინანსება, განხორციელება დაიწყო ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანმა პროექტებმა (მაგ. ,,აწარმოე საქართველოში", ,,დანერგე მომავალი"). შემუშავებულ იქნა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წლებისთვის, მნიშვნელოვნად გაიზარდა სექტორის დაფინანსება. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერჯერობით ადეკვატური ეფექტი ვერ იქნა მიღწეული: შემცირდა რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (2013-16 წწ. საშუალოდ 3,4%), კვლავაც მაღალია სიღარიბე და უმუშევრობა, აგრარულ სექტორში ცალკეული პროდუქტების მხრივ კვლავ გრძელდება შემცირების ტენდენცია. ცხადია, რომ 2013-16 წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები უფრო ნათლად გრძელვადიანი პერიოდისთვის იჩენს თავს. ამასთან ნათელია, რომ ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და სიღარიბის დაძლევისთვის ოპტიმისტური სასტარტო პირობებია შექმნილი.

ამგვარად, საქართველოში ბოლო ათწლეულში განხორციელებულმა რეფორმებმა შექმნეს მყარი საფუძვლები მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური უსაფრთხოების სასურველი პარამეტრების უზრუნ-

ველსაყოფად, ქვეყნის წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევებისა და მუქარებისადმი ადეკვატური და ეფექტიანი რეაგირებისათვის.

## 2.3. ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალური ინდიკატორები

### 2.3.1. მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორები

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებულმა მიმართულებებმა თავისი ასახვა პოვა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ინდიკატორებშიც. მათი ანალიზისას სახეზეა ბოლო ათი წლის განმავლობაში, თითქმის ყველა მაჩვენებლის პოზიტიური მიმართულებით ცვლილება. ამასთანავე რიგმა მათგანმა ზღვრულ ნიშნულზე უკეთესი პოზიციები დაიმკვიდრა.

**ცხრილი 3**

**მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორები**

| № | მაჩვენებლის დასახელება | ზღვრული მნიშვნელობა | საქართველო | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2002 | 2003 | 2005 | 2010 | 2012 | 2015 |
| 1 | მშპ-ის ზრდის ტემპი (ბოლო ოთხი წლის საშუალო) (%) | 3,1 | 3,7 | 6,5 | 8,0 | 4,9 | 4,0 | 4,3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | მშპ-ის დაცემა საბაზო დონესთან შედარებით (%) | 30-40 | 57 | 53 | 48 | 33 | 24 | 15 |
| 3 | მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობი-თუნარიანობის პარიტე-ტის გათვალისწინებით (აშშ დოლარი) | 6 000 | 3000 | 3400 | 4200 | 5800 | 6800 | 9630 |
| 4 | ადამიანური პოტენცია-ლის განვითარების ინ-დექსი | 0,80 | 0,69 | - | - | 0,698 | 0,745 | 0,754 |
| 5 | სამრეწველო საქონლის წარმოების მატების ტემ-პი (%) | 4,3 | 4,9 | 14,8 | 16,4 | 25,7 | 4,4 | 3,7 |
| 6 | ძირითად კაპიტალში ინ-ვესტიციების წილი მშპ-ში (%) | 25 | 5,1 | 26,7 | 28,1 | 19,3 | 24,8 | 28,4 |
| 7 | ბიუჯეტის დეფიციტი – (GFSM-1986, მშპ-ის მი-მართ (%) | 3,0 | 3,0 | 1,8 | 2,6 | 6,7 | 2,8 | 3,7 |
| 8 | მეცნიერებაზე ასიგნება-ნის წილი მშპ-ში (%) | 2,0 | 0,2 | - | - | 0,2 | 0,2 | 0,2 |
| 9 | განათლებაზე ასიგნება-ნის წილი მშპ-ში (%) | 2,0 | - | - | 3,3 | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| 10 | საქონლის ექსპორტის წილი მშპ-ში (%) | 16,2 | 8,3 | 9,7 | 12,7 | 14,0 | 15,4 | 15,8 |
| 11 | მოსახლეობის ერთ სულ-ზე საქონლის ექსპორტის მოცულობა (ევრო) | 476 | 43,9 | 59,0 | 111,3 | 292,1 | 408,0 | 593,7 დოლ |
| 12 | ექსპორტით იმპორტის გადაფარვა (%) | 74,6 | 43,5 | 40,4 | 34,8 | 31,9 | 29,5 | 28,5 |
| 13 | ტექნოლოგიური განვი-თარების ინდექსი ყოველ 1000 მცხოვრებზე | 2,5 | 0,45 | - | - | - | - | - |
| 14 | მოსახლეობის მიერ კომ-პიუტერების ფლობა (%) | 50 | 0,34 | - | - | - | - | - |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | 1000 სასოფლო-სამეურნეო მუშაკზე ტრაქტორების რაოდენობა (ცალი) | 160 | 24 | - | - | - | - | - |
| 16 | ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში (%) | 15-20 | 56 | 40 | 30 | 22 | 14 | - |

წყარო: *WWW.GeoStat.ge ; WWW.Mof.ge; HumanDevelofmentReports;WWW.ttimes.ge/archives/28058http://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения*

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს უმთავრეს ეროვნულ ინტერესს განეკუთვნება, მისი იდენტურობის შენარჩუნების პირობებში, თითოეული მოქალაქისათვის ცხოვრებისა და კეთილდღეობის მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა. აღნიშნულის მიღწევისთვის კი აუცილებელია ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ქვეყნის გადაქცევა საერთაშორისო ეკონომიკის აქტიურ სუბიექტად, ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიღწევა. აღნიშნულის განხორციელებისთვის კი მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მაღალი ტემპები. ცხადია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის გარდა, მრავალ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ამასთან, აღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებელი არის სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების მისაღები პარამეტრების უზრუნველყოფის, როგორც საფუძველი, ისევე შედეგი.

აღსანიშნავია, რომ **მშპ-ის ზრდის ტემპი (ბოლო ოთხი წლის საშუალო)** ნაცვლად გათვალისწინებული ზღვრული 3,1 %-სა, 2002 წლისთვის 3,7 %-ს, 2012

წლისთვის 4,0 %-ის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო 2015 წლისთვის 4,3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე და 2008 წლის ომამდე ეს მაჩვენებელი უფრო პოზიტიური იყო. კერძოდ, 2007 წლისთვის მან 9,3%-ს მიაღწია. თუმცა ცხადია, რომ მშპ-ის ზრდის ასეთი შედარებით მაღალი ტემპის პირობებშიაც კი განვითარების სასურველი პარამეტრების მიღწევა ხანგრძლივვადიან პერსპექტივას წარმოადგენს, რაზეც მიუთითებს მშპ-ის საბაზო დონესთან (1990 წელი) შედარებით დაცემის მაღალი მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეკონომიკური დაცემის ტენდენცია 5 წლიან პერიოდს მოიცავდა, ერთ სულზე მშპ-ის მოცულობა 60 %-ზე მეტად, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 80 %-ით დაეცა. 2004 წლისთვის საქართველოში ერთ სულზე მთლიანი ეროვნული შემოსავალი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 2 930 აშშ დოლარს შეადგენდა, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი აზერბაიჯანში 3 830 აშშ დოლარი, სომხეთში 4 270 აშს დოლარი, ხოლო რუსეთში 9 620 აშშ დოლარია. ცხადია, რომ დაბალია ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებიც. კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშით საქართველო 85-ე ადგილზეა, სომხეთი – 82-ე, აზერბაიჯანი 64-ე, ხოლო რუსეთი – 62-ე *(Global Competitiveness Report 2006-2007).* აშკარაა, რომ ეკონომიკური განვითარების დონით საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ მსოფლიოს განვითარებულ და აღმოსავლეთ ევროპის

პოსტსოციალისტურ ქვეყნებს, არამედ მის უახლოეს მეზობლებს, ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნებსაც.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოსთვის მიღწევადია რეალური მშპ-ის ზრდის 7-10%-იანი ტემპი, რომელზე ნაკლებიც, რიგი ექსპერტების აზრით, შემდგომი განვითარებისთვის ვერ ჩაითვლება პოზიტიურად. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სიღარიბის გაღრმავების შეჩერება და საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება, გარკვეული განვითარებაც, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის სივრცესთან ასოცირების, შემდგომი ინტეგრაციის დადებით მხარეებსა და მოსალოდნელ შესაძლებლობებს, ქვეყანაში არსებობს პოტენციალი უფრო ოპტიმისტური სცენარით განვითარებისთვის.

საქართველოსთვის განვითარების ოპტიმისტური სცენარი იქნება გრძელვადიან პერიოდში რეალური მშპ-ის 10%-ზე მაღალი ზრდა. ასეთ პირობებში ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა სწრაფად მოახდინოს არსებითი ხასიათის პერმუტაცია, უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პარამეტრები და ღირსეულად უპასუხოს მის წინაშე მდგარ გამოწვევებს.




რაც შეეხება ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ ერთ ინდიკატორს, **მშპ-ის დაცემას საბაზო დონესთან შედარებით**, ჩვენს მიერ საბაზო დონედ აღებულია 1990 წელი და მშპ 19 218,6 მლნ ლარი. 2002 წლისთვის ნაც-ვლად მიღებული ზღვრული 30-40%-სა, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 57 % შეადგინა, 2007 წლისთვის გადალა-ხა ზღვრული მნიშვნელობის ზედა ბარიერი (37%), 2012 წლისთვის 24 %, 2015 წლისთვის კი 15 % შეადგინა. ცხა-დია, საქართველოს ეკონომიკის ამ მიმართულებით სვლა გაგრძელდება და უახლოეს 3-5 წელიწადში მშპ-ის მოცულობა ასცდება 1990 წლის ნიშნულს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებს შო-რის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება **მშპ-ს მო-სახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითი უნარის პა-რიტეტის (PPP) გათვალისწინებით**. აღნიშნული მაჩვე-ნებელი მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2015 წლისთვის ზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით პოზიტიურია და

9630 საერთაშორისო დოლარს მიაღწია. ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებლის სწრაფი ზრდა უპირატესად განპირობებულია მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებით. კერძოდ, არსებული მონაცემებით 2015 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 776,8 ათასითაა შემცირებული.

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაში არსებული ცვლილებები არსებით ზეგავლენას ახდენენ **ადამიანური განვითარების პოტენციალის** მაჩვენებელზე. ცნობილია, რომ იგი სამ კომპონენტს მოიცავს: სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას, ქვეყნის მოსახლეობის განათლების დონეს (სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო ოდენობა) და სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა, მთლიან შიდა პროდუქტს (ან მთლიან ეროვნულ შემოსავალს) მოსახლეობის ერთ სულზე საერთაშორისო დოლარებში. საქართველოში პირველი ორი კომპონენტი განვითარებული ქვეყნების დონეზეა, ხოლო მესამე მნიშვნელოვნად ჩამორჩება მას. ამჟამად, ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი მსოფლიოში 0,735 –ს შეადგენს, განვითარებულ ქვეყნებში – 0,911-ს, განვითარებადში – 0,663-ს. საქართველოში იგი 2002 წლისთვის 0, 697- ს შეადგენდა, ხოლო 2015 წლისთვის – 0,754-ს.

➢ **სამრეწველო საქონლის წარმოების მატების ტემპი.** მისი ზღვრული სიდიდე 4,3% და იგი უკვე 2002 წლისთვის 4,9 %-ს შეადგენდა, 2010 წლისთვის – 25,7 %-ს, ხოლო 2012 წლისთვის 4,4. აღნიშნული მაჩვენებლის ანალიზისას აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ზრდა

გარკვეულწილად შენელდა 2006 წელს, მაშინ როცა 2003 წელს 14,8%-ს, ხოლო 2005 წელს 16,4 %-ს შეადგენდა, ხოლო 2007 წლისთვის, აღრიცხვის სისტემის მოწესრიგებამ ამ სფეროში ზრდის მაღალი მაჩვენებელი (27,8 %) დააფიქსირა. თუმცა უკვე 2015 წლისთვის სახეზეა ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირება;

- **ძირითად კაპიტალში ინვესტიციების წილი მშპ-ში.** მის ზღვრულ მნიშვნელობად მიღებულია 25%. 2002 წლისთვის საქართველოში იგი მხოლოდ 5,1%-ს შეადგენდა, 2005 წლისთვის კი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა და 28,1%-ს შეადგენდა, 2012 წლისთვის – 24,8 %-ს (6 496,8 მლნ ლარი), ხოლო 2015 წლისთვის – 28,4 %-ს (დაახ. 9 მლრდ ლარი);

- **ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის მიმართ.** აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენს მიერ წარმოდგენილ საანალიზო პერიოდში მერყეობდა და ზოგჯერ სცდებოდა ზღვრულ ნიშნულს (მაგ. 2010 წ. – 6,7 %). 2015 წლისთვის ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 3,7 % შეადგინა. მომავალში მაქსიმალურადაა გასათვალისწინებელი ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები და მუქარები, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ნეგატიური პარამეტრები;

- **მეცნიერებასა და განათლებაზე ასიგნებანის წილი მშპ-ში.** მოცემულმა მაჩვენებელმა საანალიზო პერიოდში მთლიანობაში პოზიტიური ცვლილებები განიცადა. თუმცა, ასიგნებების მეცნიერებისა და განათლების სფეროების მიხედვით დიფერენცირებისას, ჩანს რომ მეცნიერების ასიგნებანი ნაცვლად ზღვრული 2,0%-იანი ნიშნულისა სტაბილურად 0,2%-ს შეადგენს.

პოზიტიურად მიგვაჩნია, ის რომ გამოყოფილი თანხების მოცულობა, მშპ-ის ზრდის კვალობაზე, პერიოდულად იზრდება. ანალოგიურ პოზიტივს აქვს ადგილი მშპ-ში განათლებაზე ასიგნებების მიხედვითაც. ამასთან, ზრდად მშპ-ში მისი წილი 2015 წლისთვის 2,5 %- ს შეადგენს, ნაცვლად ზღვრული 4 %-სა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით არსებითი ხასიათის პოზიტიური ცვლილებებია განხორციელებული, კვლავაც მრავალი პრობლემა რჩება გადასაჭრელი, რათა მიღწეულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი მაჩვენებლები;

- **ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში.** საანალიზო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 4-ჯერ შემცირდა და 2002 წლისთვის არსებული 56 %-ის ნაცვლად, 2012 წლისთვის 14 % შეადგინა, რაც პასუხობს ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორთა ანალიზისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქონლის ექსპორტთან დაკავშირებული მაჩვენებლების განხილვა წარმოადგენს, რამდენადაც აღნიშნული მაჩვენებლები ახასიათებენ სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ქვეყნის პოზიციების ცვლილებას. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემებით დასტურდება, რომ საქართველოს პოზიციები, პროდუქციის ექსპორტთან მიმართებაში, სუსტი გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება. მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტის მოცულობის მაჩვენებელი, 2002 წელს არსებული 43,9 ევროდან 2012

წლისთვის 408 ევრომდე გაიზარდა, მაგრამ ზღვრული მაჩვენებლის (476 ევრო) გადალახვა ვერ მოხერხდა. ამასთანავე, მისი ზრდა ასევე განპირობებულია საანალიზო პერიოდში მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით.

**ცხრილი 4.**

**საქართველოს ექსპორტი და იმპორტი**

| № | წელი | 2000 | 2002 | 2003 | 2010 | 2012 | 2015 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ექსპორტი სულ (მლნ. აშშ დოლარი) | 322,8 | 345,9 | 461,4 | 1677 | 2375 | 2205 |
| 2 | იმპორტი სულ (მლნ.აშშ დოლარი) | 709,9 | 795,6 | 1141,2 | 5257 | 8049 | 7288 |
| 3 | ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი | 45,5 | 43,5 | 40,4 | 31,9 | 29,5 | 30,2 |

*წყარო:* WWW.GeoStat.ge

ამასვე ადასტურებს ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი, რომელიც 2002 წელს არსებული 43,5%-დან (ზღვრული მაჩვენებელი 74,6%) 2015 წლისთვის 30,2 %-მდე შემცირდა. ცხადია, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა სხვა ქვეყნებთან შედარებით მცირდება, რაც აუფერულებს ეროვნული ეკონომიკის მიღწევებს. მიუხედავად ზრდისა, ასევე ვერ აკმაყოფილებს მისაღებ დონეს მშპ-ში საქონლის ექსპორტის წილის მაჩვენებელიც, რომელიც 2002 წელს არსებული 8,3%-დან (ზღვრული 16,2%) 2015 წლისთვის 15,8%-მდე გაიზარდა. ცხადია, რომ მშპ-ის ზრდის კვალობაზე ექსპორტის ზრდის ტემპი არასაკმა-

რისია და იგი ვერ პასუხობს ქვეყნის განვითარების დინამიკას.

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, ჩვენს მიერ ვერ იქნა დაზუსტებული მოსახლეობის მიერ კომპიუტერების ფლობის, 1000 სასოფლო-სამეურნეო მუშაკზე ტრაქტორების  რაოდენობის მაჩვენებლები და ტექნოლოგიური განვითარების ინდექსი.

ამგვარად, საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორთა ანალიზით  ირკვევა, რომ ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური განვითარების პოტენციალი მაღალია, რაც დადასტურდა კიდევაც რუსეთის აგრესიის ყველაზე მწვავე დღეებში, როდესაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობის მაღალი ხარისხი გამოავლინა. ცხადია, რომ მთლიანობაში საფუძველი ეკონომიკური აღმავლობისთვის ფორმირებულია. ამასთანავე, განვითარების პარამეტრები, მიუხედავად მათი პოზიტიური მნიშვნელობისა, არასაკმარისია საქართველოს მდგომარეობის ქვეყნისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ შემთხვევაში პოზიტიური რაოდენობრივი პარამეტრები მისი თვისებრიობის მისაღებობაზე არ მეტყველებენ.

### 2.3.2. სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები

სოციალურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ენიჭება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში, მისი მაჩვენებლები ახასიათებენ ქვეყნის

სოციალურ მდგომარეობას, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მუქარებისადმი მზაობას. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მიღებულია სოციალური უსაფრთხოების განხილვა არა როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ნაწილის, არამედ დამოუკიდებელი, ინტეგრალური მაჩვენებლის და ამ შემთხვევაში ეკონომიკური ასპექტების პარალელურად ყურადღება მახვილდება მოსახლეობის უფლებებსა და თავისუფლებაზე.

ყველაზე აღიარებულია სოციალური უსაფრთხოების შემდეგი კრიტერიუმები: მოსახლეობის რაოდენობა; მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი; მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი; სიცოცხლის ხანგრძლივობა; მოსახლეობის ბუნებრივი მატება; შობადობა; სიკვდილიანობა. მათ შორის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა; მიგრაციის სალდო; ჯანმრთელობაზე დანახარჯების წილი მშპ-ში; საარსებო მინიმუმი; საარსებო მინიმუმის ზრდის ტემპი. ჩვენს მიერ სოციალური უსაფრთხოების დასახასიათებლად შერჩეულ იქნა შემდეგი ფუნქციონალური ინდიკატორები: უმუშევრობის დონე, ხელფასის წილი მშპ-ში, შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ-ში, ჯინის ინდექსი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი, საშუალო-თვიური შემოსავალის მიმართება შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ, დამნაშავეობის დონე, დეპოპულაციის დონე.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლების მხრივ საქართველო ნეგატიური

პარამეტრებით გამოირჩევა. ამ ჯგუფში შემავალი ინდიკატორებიდან უმრავლესობა ნეგატიური მნიშვნელობებით ხასიათდება. ამასთან, ზღვრულ დონეზე მაღლა დაფიქსირებული ინდიკატორების სტრუქტურის ანალიზი ავლენს მათ მიუღებლობას, ნეგატიურობას.

➢ **უმუშევრობის დონე.** 2002-2012 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2002 წლისთვის ზღვრული 10 %-ის ნაცვლად იგი 12,6 %-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წლისთვის 15,0 %-ს. შემდგომ პერიოდში კი ადგილი აქვს უმნიშვნელო პოზიტიურ ცვლილებას და 2015 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 12,0 %-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გამოკითხვებით საქართველოს

**ცხრილი 5.**

**სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები საქართველოში**

| № | მაჩვენებლის დასახელება | ზღვრული მნიშვნელობა | საქართველო | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2002 | 2003 | 2005 | 2010 | 2012 | 2015 |
| 1 | უმუშევრობის დონე (%) | 10 | 12,6 | 11,5 | 13,8 | 16,3 | 15,0 | 12,0 |
| 2 | ხელფასის წილი მშპ-ში (%) | 60-70 | 6,8 | 32,0 | 36,8 | 56,3 | 56,3 | 60.1 |
| 3 | შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ-ში (%) | 65-70 | 56,3 | - | 40,2 | 74,3 | 71,5 | 72,3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმ-არება (კვტ.სთ წელიწადში) | 2600 | 1700 | 1800 | 2000 | - | - | - |
| 5 | ჯინის ინდექსი (ეკვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით) | 0,24 | 0,37 | 0,38 | 0,39 | 0,43 | 0,41 | 0,39 |
| 6 | სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი (%) | 10 | 52,1 | 52,0 | 39,0 | 9,7 | 9,7 | 10,1 |
| 7 | საშუალოთვიური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ (%) | 100 | 90,5 | 96,3 | 213 | 445 | 471 | 554 |
| 8 | დამნაშავეობის დონე 10000 კაცზე (რეგისტრარებული დანაშაულის მიხედვით) | 500 | 38 | 40 | 100 | 78 | 78 | |
| 9 | დეპოპულაციის დონე | 100: 100 | 100,4 : 100 | 100,2 :100 | 108: 100 | 130: 100 | 116: 100 | |

წყარო: WWW.GeoStat.ge

მოსახლეობის 60% თავს უმუშევრად მიიჩნევს. ამასთანავე, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მნიშვნელოვანია თვითდასაქმებულების წილი (56,5%). ასევე მაღალია სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულებში (55,3%), მაშინ როცა ამ სექტორში წარმოებული პროდუქციის წილი მშპ-ში 11%-ა. (შედარებისთვის: ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთა წილი

შეადგენს 9,6%-ს, ხოლო ამ სფეროს პროდუქციის წილი მშპ-ში - 14%-ს).

უმუშევრობა ქვეყანაში კვლავაც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამასთან, მისი უახლოეს პერიოდში მოგვარების პერსპექტივები არ არის გამოკვეთილი, რაც მოსახლეობის მკვეთრ ქონებრივ (შემოსავლების მიხედვითაც) დიფერენციაციასთან ერთად არსებითი ხასიათის მუქარად გვესახება საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის.

➢ **ხელფასის წილი მშპ-ში.** აღნიშნული ინდიკატორი 2002 წელს არსებული 6,8 %-დან 2012 წლისთვის 56,3 %-მდეგაიზარდა, ხოლო 2015 წლისთვის გადალახა ზღვრული ნიშნული და 60,1 %-ს შეადგენს.

➢ **შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ-**ში. იგი პოზიტიური დინამიკით ხასიათდება და მისი მნიშვნელობა პასუხობს ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს. კერძოდ, 2002 წლისთვის 56,3 %-დან (ზღვრული ინდიკატორი 65-70 %) 2015 წლისთვის 72,3 %-მდე გაიზარდა. ამ მიმართულებით ნეგატიურად გვეჩვენება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის მცირე სხვაობა, რაც ზღუდავს მოსახლეობის მოთხოვნებს. ოლო ათწლეულში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო-თვიური შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ ხარჯებთან მისი მეტობა მხოლოდ 2009 წლისთვის იქნა მიღწეული. მიუხედავად ზრდის ტენდენციისა (2001 წ. 63 ლარიდან 2015 წ. 284,5 ლარამდე) საშუალო-თვიური შემოსავლები კვლავაც დაბალია და იგი უმნიშვნელოდ აჭარბებს საშუალო-თვიურ ხარჯებს (279,6 ლარი);

➢ **ჯინის ინდექსი.** ნაცვლად 0,24-სა, 2015 წლისთვის 0,39-ის დონეზეა დაფიქსირებული. რაც ადასტურებს შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის არათანაბარ განაწილებას.მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო პერიოდში ადგილი აქვს შემოსავლების მუდმივი ზრდისა და შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის პოზიტიურ ტენდენციას, სიღარიბე და უთანასწორობა კვლავაც მაღალია. კერძოდ, თუ 2003 წელს მოსახლეობის მხოლოდ 1,1%-ს ჰქონდა 1500 ლარზე მეტი თვიური შემოსავალი, 2013 წლისთვის კი – 13,4 %-ს. 2003 წელს 500 ლარამდე შემოსავალი ქონდა მოსახლეობის 85,6%-ს, ხოლო 2013 წელს – 37,3%-ს [69]. რაც აშკარად ადასტურებს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შემოსავლების მიხედვით დიფერენციაცია რამდენადმე შემცირდა, თუმცა შემცირების ხარისხი ცხადია ჯერ კიდევ არ არის საკმარისი;

➢ **სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი.** იგი 2015 წელს არსებული 10,1 %-ის (ზღვრული 10 %) დონეზეა დაფიქსირებული. 2002 წელს კი 52,1 %-ს შეადგენდა. ამასთან, ამ მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება არაა გამართლებული, რადგან სიტუაციის ასეთი არსებითი ცვლილება გამოწვეულია გამოთვლის მეთოდიკაში განხორციელებული ცვლილებით;

➢ **საშუალო-თვიური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ.** მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში იგი ზღვრულთან შედარებით პოზიტიურია. თუმცა ეს უფრო საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდიკით არის განპირობებული. შრომისუნარიანი მამაკაცისთვის საარსებო მინიმუ-

მის ღირებულება  2002 წელს არსებული 125,4 ლარიდან 2015 წლისთვის მხოლოდ 162,4 ლარამდე გაიზარდა (რაც ვერ ასახავს რეალურ სურათს), ხოლო საშუალო ხელფასი კი 113,5 ლარიდან (2002 წელი) 900,4 ლარამდე (2015 წელი). ამასთან, ოფიციალური საარსებო მინიმუმის არარეალურობასთან ერთად, ამ მაჩვენებლის ნეგატიურობას ამძიმებს დაქირავებით დასაქმების, შესაბამისად საშუალო ხელფასთან ხელმისაწვდომობის დაბალი დონე.




*წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის თანაფარდობა ნათლად აისახება ერთ სულზე საშუალო-თვიური შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკაში. კერძოდ, ბოლო ათწლეულში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო-თვიური შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ ხარჯებთან მისი მეტობა მხოლოდ 2009 წლისთვის იქნა მიღწეული. 2012

წლისთვის კი მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო-თვიური შემოსავალი (218,4 ლარი), მცირედით აღემატება საშუალო-თვიურ ხარჯს (212,2 ლარი).ჩვენი აზრით, რეალური საარსებო მინიმუმისა და მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო-თვიური შემოსავლების თანაფარდობა, საშუალოთვიურ ხელფასის თანაფარდობაზე უფრო ფართო მასალას იძლევა შემდგომი ანალიზისათვის.

საანალიზო პერიოდისთვის ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა **დამნაშავეობისა და დეპოპულაციის დონეები** პოზიტიურია. 2012 წლისთვის - შესაბამისად 78 (ნაცვლად ზღვრული 500) და 116:100 (ნაცვლად ზღვრული 100:100). ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ წინა წელთან შედარებით 2015 წლისთვის ოფიციალური სტატისტიკით მოსახლეობის რიცხოვნობა, ძირითადად ემიგრაციის ხარჯზე, 776,8 ათასი კაცითაა შემცირებული. ამგვარად, ბოლო პერიოდში სულზე მონაცემების მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნულითაცაა განპირობებული. რაც შეეხება მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერგიის მოხმარებას, ჩვენს მიერ ამ მაჩვენებლის დაზუსტება ვერ მოხერხდა, თუმცა ელექტროენერგიით მოსახლეობის მომარაგების არსებითი გაუმჯობესება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იგი პასუხობს ზღვრული ინდიკატორის მოთხოვნებს.

ამგვარად, საქართველოში სოციალური უსაფრთხოების წარმოდგენილი მაჩვენებლები (რომელთა არეალის ზრდაც შესაძლებელია), ნათლად ახასიათებენ ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან შეჩერებულია მოსახლეობის გაღარიბების პროცესი, კვლავაც სახეზეა მოსახლეო-

ბის ცხოვრების დონისა და ხარისხის დაბალი მაჩვენებლები. საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორებში ასახულმა პოზიტიურმა პარამეტრებმა ჯერ კიდევ ვერ მოახდინეს არსებითი ხასიათის გარდატეხა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიმართულებით. მიუხედავად შემოსავლების ზრდის პოზიტიური მიმართულებისა, მისი ზრდის ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის. ქვეყანაში მაღალია სიღარიბე და შემოსავლების მიხედვით დიფერენციაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ვექტორი სწორედ ამ პრობლემის მოგვარებისკენ უნდა იყოს მიმართული. სამუშაო ადგილების შექმნა, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, საშუალო ფენის განვითარებისადმი ხელსეწყობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ცნობილი და აპრობირებული მეთოდებია. ცხადია, ასევე მნიშვნელოვანია დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისა და მათი შემოსავლების ზრდის ღონისძიებების განხორციელება.

### 2.3.3. ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები

წლების განმავლობაში საქართველოს ფინანსური სექტორი სტაბილურად ვითარდება და რაიმე არსებითი ხასიათის რყევები არ ყოფილა. ამასთანავე, ფინანსური

უსაფრთხოების ინდიკატორების ანალიზიდან ვლინდება, რომ აღნიშნული სტაბილურობის რღვევის მაღალი შესაძლებლობა არსებობს.

ჩვენს მიერ ფინანსური უსაფრთხოების დასახასიათებლად, ფუნქციონალური ინდიკატორების მრავალფეროვანი სისტემიდან შერჩეულ იქნა, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი 7 ინდიკატორი. ამასთან, აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ მაჩვენებლებზე უფრო დაბალ ნიშნულზეა, რაც ამყარებს მოსაზრებას, საფინანსო სექტორში რყევისა და არასტაბილურობის მაღალი შესაძლებლობის შესახებ.

**ცხრილი 6.**

**ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები საქართველოში** [70]

| № | მაჩვენებლის დასახელება | ზღვრული მნიშვნელობა | საქართველო | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2002 | 2003 | 2005 | 2010 | 2012 | 2015 |
| 1 | მონეტიზაციის დონე (%) | 50 | 6,2 | 6,2 | 9,2 | 14,3 | 15,5 | 18 |
| 2 | საგარეო ვალების წილი მშპ-ში (%) | 30 | 44,6 | 44,9 | 26,8 | 33,6 | 27,6 | 32,5 |
| 3 | შიგა ვალების წილი მშპ-ში (%) | 30 | 20,4 | 18,3 | 13,6 | 5,1 | 7,3 | 8,9 |
| 4 | საერთო ხარჯებში სახელმწიფო ვალის მომსახურების წილი (%) | 20 | 14 | 12 | 10 | 6 | 5 | 8,2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | ინფლაციის დონე (%) | 5-6 | 5,6 | 4,8 | 8,2 | 7,1 | -0,9 | 4,0 |
| 6 | სახელმწიფო ვალების წილი მშპ-ში (%) | 40-50 | 64,9 | 63,2 | 40,0 | 42,4 | 34,9 | 41,5 |
| 7 | საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში (%) | 32 | 15,2 | 9,4 | 15,8 | 23,5 | 25,5 | 23,7 |

წყარო: *WWW. GeoStat.ge; WWW. Mof.ge.*

➢ **მონეტიზაციის დონე.** აღნიშნული ინდიკატორის ზღვრული მნიშვნელობა 50 %-ია. საქართველოში მონეტიზაციის დონე 2003 წელს 6,2 %-ს შეადგენდა, საანალიზო პერიოდში იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2012 წლისთვის 15,5 %-ს, 2014 წლისთვის 20,25 %-ს, ხოლო 2015 წლისთვის 18 %-ს მიაღწია. როგორც ვხედავთ იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სასურველ დონეს. აღსანიშნავია, რომ შედარებით მაღალია M3 აგრეგატის მიხედვით გაანგარიშებული მონეტიზაციის დონე (2015 წ. - 42%);

➢ **საგარეო ვალების წილი მშპ-ში,** რომლის ზღვრულ სიდიდედ მიღებულია 30 %, საქართველოში 2002 წელს 44,6 %-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წლისთვის 32,5 %-ია. როგორც ვხედავთ, მან უმნიშვნელოდ გაადააჭარბა ზღვრულ ნიშნულს. მოსალოდნელია, რომ იგი ზღვრულ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად არც უახლოეს მომავალში ასცილდება. ამის საფუძველს იძლევა საგარეო ვალების ზრდის კვალობაზე მშპ-ისზრდა. ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობას, ეკონომიკური

უსაფრთხოების თვალსაზრისით, მცირე, მაგრამ მაინც აქვს რეზერვები საგარეო ვალების ასაღებად. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მონაცემებით 10 334 მლნ ლარიდან 28,5 % ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხია, 54,9 % - საინვესტიციო პროექტების დასაფარად, 4,6 % რესტრუქტურირებული კრედიტებია, 11,6 % - ფასიანი ქაღალდები და 0,4% - სავალუტო ფონდიდან ეროვნული ბანკის მიერ აღებული, აქვე აღვნიშნავთ, რომ მთლიანობაში ქვეყნის საგარეო ვალი ძალიან მაღალია და 2015 წლისთვის იგი (15,1 მლრდ აშშ დოლარი) აჭარბებს კიდევაც ქვეყნის მშპ-ს (14 მლრდ აშშ დოლარი);

- **შიგა ვალების წილი მშპ-ში** (ზღვრული სიდიდე 30%). 2002 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა საქართველოში 20,4 % შეადგინა. საანალიზო პერიოდის განმავლობაში მას ქონდა პოზიტიური დინამიკა და 2015 წლისთვის – 8,9 %. მოცემული მაჩვენებლის ზღვრული ინდიკატორის დონიდან გასვლა არ არის მოსალოდნელი. სახეობების მიხედვით სტრუქტურა ასეთია: სახაზინო ფასიანი ქაღალდები 57,2%, ეროვნული ბანკის მიმართ ვალი – 19 % და ე.წ. ,,ისტორიული ვალი" - 23,8%. მთლიანობაში 2015 წლისთვის საშინაო ვალის ნაშთი 2 828 მლნ ლარს შეადგენს;

- **საერთო ხარჯებში სახელმწიფო ვალის მომსახურების წილი** (ზღვრული სიდიდე 20%). აღნიშნული მაჩვენებელი 2002 წელს 14,1 %-ს, ხოლო 2015 წლისთვის 8,2 %-ს შეადგენს. მშპ-ის ზრდის კვალობაზე ამ მაჩვენებლის ზრდა მოსალოდნელია სახელმწიფო ვალების სულ უფრო მეტი მოცულობის გადახდის პერიოდის დადგომით ან შეღავათიანი პერიოდის გასვლით,

ისიც იმ შემთხვევაში, თუ მშპ-ის არსებული ზრდა შენელდება. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დარჩება ზღვრული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი;

➢ **ინფლაციის დონე** (ზღვრული სიდიდე 5-6%). ოფიციალური სტატისტიკით 2002-2010 წლებში იგი სასურველი ზღვრული მაჩვენებლის ახლოს იმყოფებოდა, ხოლო 2012 წლისთვის კი – დეფლაციას ქონდა ადგილი;

➢ **სახელმწიფო ვალების წილი მშპ-ში** (ზღვრული მაჩვენებელი 40-50%). 2002 წლისთვის იგი 64,8 %-ს აღწევდა, 2003 წლისთვის კი – 63,2 %-ს. შემდგომ ეტაპზე მშპ-ის ზრდის მაღალმა ტემპებმა შესაძლებელი გახადა მისი ნორმის ფარგლებში მოქცევა და 2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი 34,9 %-ს აღწევდა, თუმცა შემდგომ პერიოდში უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია ქონდა და 2015 წლისთვის 41,5% შეადგინა.

სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩება, 1990-2002 წლებში, აღებული ვალების მიზნობრიობა. მიღებული კრედიტების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებით მაღალი იყო სამომხმარებლო ხასიათის კრედიტები, რომლებიც მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაზე იყო ორიენტირებული. მომავალში სასურველია აღებულ კრედიტებს ქონდეთ განვითარების ხასიათი და აქცენტირებული იყოს ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაზე;

➢ **საგადასახადო შემოსავლები მშპ-ის მიმართ** (ზღვრული სიდიდე 32%). მიუხედავად საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბური საგადასახადო რეფორმისა და საგადასახადო ადმინისტრირების

ძირეული გაუმჯობესებისა, აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წლისთვის 23,7 %-ს შეადგენს. აშკარაა, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია შემდგომი ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სფეროს განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის ხელსაყრელი თანაფარდობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

# თავი III. მიკროეკონომიკური უსაფრთხოება: მიზანი, სტრუქტურა მახასიათებლები

## 3.1. მიკროეკონომიკური უსაფრთხოების მიზანი და ამოცანები

მიკროეკონომიკური უსაფრთხოების მიზანი ქვეყნის უმთავრესი ინტერესებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და საქართველოსთვის იგი გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობისა და წარმოების სტრატეგიულ რესურსებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არსებული და მოსალოდნელი მუქარების პირობებშიაც კი. როგორც წინა თავებში განვიხილეთ მიკროეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:



მიკროეკონომიკური უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე, საქართველოს მიკროეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული ამოცანებია:

- მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- პირველად სტრატეგიულ რესურსებზე (სასმელი წყალი, მარცვლეული, ხორცი, ელექტროენერგია და ა.შ.) ექსტრემალურ პირობებშიც კი მოთხოვნილებების ძირითადად საკუთარი შესაძლებლობებით დაკმაყოფილება;
- საქართველოში არსებული ბუნებრივი რესურსების ბაზაზე მიღებული რესურსების წარმოებისა და ექსპორტის გაფართოება;
- ფირმების კონკურენტულ გარემოში ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის თანაფარდობის ოპტიმიზაციისთვის

  ხელსაყრელი პირობების ფორმირება.

საქართველოს რესურსების დახასიათებამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ რესურსული უზრუნველყოფის მიმართულებით განსხვავებულ მიდგომებს ვაწყდებით. მათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია გათვლები, რომელთა მიხედვითაც საქართველო ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით ერთ-ერთ მდიდარ ქვეყანად წარმოგვიდგება. კერძოდ, მიმდინარე ოფშორულ ფასებში (დამატებული ღირებულების გარეშე) საქართველოს ბუნებრივი რესურსების ფასის ინდექსი 1,232 ტრილიონ აშშ დოლარს შეესაბამება, ანუ 280 000 აშშ დოლარს ერთ სულ მოსახლეზე და 17,7 მლნ აშშ დოლარს 1 კვ.კმ-ზე. ე.ი. საქართველო

ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყნად გამოდის ევრაზიაში (ყაზახეთისა და თურქმენეთის შემდეგ) ბუნებრივი რესურსების განაწილების თვალსაზრისით, ხოლო ზედაპირული ენერგორესურსების მხრივ – პრაქტიკულად ყველაზე მდიდარი სახელმწიფოა მსოფლიოში *(თვალჭრელიძე ს. ,,15 წელიწადში საქართველო 5-6 მილიარდი დოლარის ოდენობით ინვესტიციების მოზიდვას შეძლებს". გაზ. ,,ახალი ვერსია", 2003 წელი, №92).*

## 3.2. პირველადი სტრატეგიული რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები

**მიწის რესურსები.**მიწა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს. იგი განსაკუთრებულ როლს სოფლის მეურნეობაში ასრულებს, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწეული დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საბაზო პირობებზე. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობასა და ხარისხზე. ამ მაჩვენებლებით უზრუნველყოფის განსაზღვრული პირობები საშუალებას იძლევა შემდგომში წარმოების ზრდა განხორციელდეს როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური გზით. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფ ფაქტორთა შორის მიწას ნაკლები როლი ენიჭება. თუმცა მისი როლი და მნიშვნელობა არსებითია ევოლუციური ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

**ცხრილი 7.**

**მიწის ფონდების განაწილება მიწათმოსარგებლეთა მიხედვით** (2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

| | | ფართობი (ათასი ჰა) | სტრუქ-ტურა % |
|---|---|---|---|
| **ფართობი, სულ** | | 7 628,4 | 100 |
| მათ შორის | კერძო საკუთრებაში გა-დაცემული | 948,9 | 12,4 |
| | სახელმწიფო საკუთრე-ბის მიწა | 6 679,5 | 87,6 |
| მათ შორის | სასოფლო-სამეურნეო პროფილის ორგანიზა-ციების | 2 822,3 | 37,0 |
| | არასასოფლო-სამეურ-ნეო დანიშნულების | 3 857,2 | 50,6 |
| დასახლებული პუნქტების | | 88,4 | 1,2 |
| დაცული ტერიტორიების | | 300,7 | 3,9 |
| ტყის პონდი | | 2 456,2 | 32,2 |
| მრეწველობის, ტრანსპორტის, კავსირ-გაბმულობის, რადიომაუწყებლობის, ტე-ლევიზიების და სხვა საინფორმაციო სა-შუალებების, ენერგეტიკის, თავდაცვის და სხვა დანიშნუ | | 171,9 | 2,2 |
| რელიგიური ორგანიზაციების | | 4,9 | 0,06 |
| წყლის ფონდი (ტერიტორიული წყლების ჩათვლით) | | 835,1 | 10,9 |

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტა-ტისტიკური პუბლიკაცია.*
*საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2013. გვ.11*

საქართველოს მთელი ტერიტორიის ფართობი, მას შემდეგ რაც 2002 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,წყლის შესახებ", რომლითაც ტერიტორიული წყლების ფართობი 679,0 ათასი ჰა-თი განისაზღვრა, 6 949,4 ათას ჰა-ს შეადგენს.

მთელი ტერიტორიის 12,4 % (948,9 ათასი ჰა) კერძო საკუთრებაშია, ხოლო 87,6 % (6 679,5 ათასი ჰა) – სახელმწიფო საკუთრებაში. აქედან 37 %-ით (2 822,3 ათასი ჰა) სასოფლო-სამეურნეო პროფილის ორგანიზაციები სარგებლობენ, ხოლო 50,6 %-ით (3 857,2 ათასი ჰა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების.

**ცხრილი 8.**

**მიწის ფონდის სტრუქტურა**

(2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

| | | ათასი ჰა | % |
|---|---|---|---|
| ფართობი, სულ | | 7 628,4 | 100 |
| სასოფლო-სამეურნეო სავარგულები | | 3 025,8 | 39,7 |
| მათ შორის | სახნავი | 801,8 | 10,5 |
| | მრავალწლიანი ნარგაობა | 263,8 | 3,5 |
| | სათიბი | 143,8 | 1,9 |
| | საძოვარი | 1 796,6 | 23,5 |
| | საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები და ეზოები | 19,8 | 0,3 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები | | 4 602,6 | 60,3 |

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური პუბლიკაცია.*
*საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2013. გვ.11.*

მთლიანი ფართობის 39,7 %-ს (3 025,8 ათასი ჰა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწები – 60,3 %-ს (4 602,6 ათასი ჰა).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა შემდეგი რიგითობით ხასიათდება საძოვრები - 1 796,6 ათასი ჰა (59,4 %), სახნავი – 801,8 ათასი ჰა (26,5 %), მრავალწლიანი ნარგაობა – 263, 8 ათასი ჰა (8,7%), სათიბი – 143,8 ათასი ჰა (4,8 %), საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები და ეზოები – 19,8 ათასი ჰა (0,6 %). როგორც ჩანს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში ჭარბობს არაინტენსიური გამოყენების სავარგულები. მოსალოდნელია, რომ მიწის ბაზრის შემდგომი განვითარების კვალობაზე, აღნიშნული სტრუქტურა გაუმჯობესდება, ინტენსიური გამოყენების სავარგულების წილის ზრდის მიმართულებით.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რაზეც ნათლად მიუთითებს ერთ სულზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები. კერძოდ, 2004 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა 0,7 ჰა-ს შეადგენს, მხოლოდ სოფლის მცხოვრებზე გადაანგარიშებით კი – 1,5 ჰა-ს. სახნავის განაწილება შესაბამისად – 0,18 ჰა-სა და 0,4 ჰა-ს. მრავალწლიანი ნარგაობის მიხედვით - 0,06 და 0,13 ჰა-ს, სათიბის მიხედვით – 0,03 და 0,07 ჰა-ს, საძოვრები კი შემდეგნაირადაა განაწილებული ერთ სულ მოსახლეზე 0,42 ჰა, ხოლო სოფლად მცხოვრებზე გადაანგარიშებით – 0,87 ჰა-ს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განვითარებული ქვეყ-

ნებისთვის მიწათუზრუნველყოფის მსგავსი მაჩვენებლები პოზიტიურ რაოდენობრივ პარამეტრად ითვლება ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმირებისათვის.

**ცხრილი 9.**

**სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაწილება სახეებისა და საკუთრების ფორმის მიხედვით**

(2004 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

| | | სასოფლო-სამეურნეო სავარგულები | | მათ შორის კერძო საკუთრებაში | | სახელმწიფო საკუთრებაში | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფართობი (ათასი ჰა) | % | ფართობი (ათასი ჰა) | % | ფართობი (ათასი ჰა) | % |
| სასოფლო-სამეურნეო სავარგული | | 3 025,8 | 100 | 767,3 | 25,4 | 2 258,5 | 74,6 |
| მათ შორის | სახნავი | 801,8 | 26,5 | 438,5 | 54,7 | 363,3 | 45,3 |
| | მრავალწლიანი ნარგაობა | 263,8 | 8,7 | 180,5 | 68,4 | 83,3 | 31,6 |
| | სათიბი | 143,8 | 4,8 | 44,0 | 30,6 | 99,8 | 69,4 |
| | საძოვარი | 1 796,6 | 59,4 | 84,5 | 4,7 | 1 712,1 | 95,3 |
| | საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები და ეზოები | 19,8 | 0,6 | 19,8 | 100 | - | - |

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური პუბლიკაცია.*
*საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2013. გვ.11.*

საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებში დაწყებულმა რეფორმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა მიწის საკუთრების სტრუქტურაში. ცალკეული შინამეურნეობებისთვის იგი გახდა მიწათუზრუნველყოფის გაუმჯობესების წყარო. 2003-2012 წლებში შინამეურნეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული მიწის ფართობი ქალაქად გაიზარდა 17 %-ით, ხოლო სოფლად – 6%-ით. სოციალისტური სისტემის მონოსახელმწიფოებრივი საკუთრებიდან, თანდათანობით ხორციელდება საკუთრების მრავალფეროვნებაზე გადასვლა. 2004 წლისთვის კერძო საკუთრებაში იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,4 %, მათ შორის, სახნავის – 54,7 %, მრავალწლიანი ნარგაობის – 68,4 %, სათიბების – 30,6 % და საძოვრების – 4,7 %. 2004-2012 წწ. გაგრძელდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზების პროცესი, ამასთან, სრულიად მართებულად, აქცენტი გაკეთდა მსხვილ ინვესტორებზე. თუმცა, ამჟამადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი უმეტესობა არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ამგვარად, საქართველოს მიწის რესურსების, კონკრეტულად კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ანალიზისას იკვეთება შემდეგი ტენდენციები: ქვეყნის პრობლემა არა მცირემიწიანობა, არამედ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაეფექტიან გამოყენებაშია. დაუმუშავებელი და შესაბამისად გამოუყენებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი, დაბალია

მოსავლიანობა. რაც მიუთითებს ამ მიმართულებით არსებულ როგორც ექსტენსიურ, ისევე ინტენსიურ რეზერვებზე. ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენების ზრდისათვის მიზანშეწონილია პრივატიზების დაჩქარება და მიწების დამუშავების სტიმულირება. მიგვაჩნია, რომ დაუმუშავებელ მიწებზე სანქციების დაწესება ვერ იქნება მოსახლეობის უმრავლესობისგან მხარდაჭერილი, ხშირ შემთხვევაში კი შეიძლება კონტრეფექტურიც იყოს.

**წყლის რესურსები.** საქართველოში 26 060 მდინარე მოედინება, რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-მდეა. ე.ი. ქვეყანა მდიდარია წყლის რესურსებით. ამასთან, წყლის რესურსები მთელს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული და უმეტესი ნაწილი დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი.

ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოებით 18 000 მლნ კბ. მ-ს შეადგენს და საქართველო ამ რესურსის მიხედვით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მიწისქვეშა მტკნარი წყლების 95 % -ს სასმელი წყლები შეადგენს და ისინიც მდინარეების მსგავსად არათანაბრადაა განაწილებული. კერძოდ, 63,4% მოდის დასავლეთ საქართველოზე, 24,1 %- აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო 12,5 % - სამხრეთ საქართველოზე *(http://moe.gov.ge/index.php?langid=Geo&-seid=42 ).*

ამგვარად, საქართველოში ბუნებრივადაა ჩამოყალიბებული წყლის რესურსებით უზრუნველყოფის მაღალი დონე. ამასთან, არსებობს რიგი პრობლემებისა წყლის რესურსების ეფექტიან გამოყენებასთან და დაც-

ვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ზედაპირული წყლების დაბინძურება, რაც გარემოში ნარჩენების უკონტროლო გადაყრასთან ერთად, დაკავშირებულია თანამედროვე გამწმენდი ნაგებობების სიმცირით.

არსებული მონაცემებით, ამჟამად არსებულ წყლის გამწმენდ არცერთ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა საპროექტო ხარისხის შესაბამისად. პირველადი მექანიკური წმენდა ხორციელდება მხოლოდ თბილისი-რუსთავის რეგიონულ ნაგებობაზე, ხოლო წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არ ხდება არცერთ ქალაქში *(http://moe.gov.ge/index.php?langid=Geo&seid=42 ).*

რაც შეეხება ისეთი რესურსების წარმოებისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებს, როგორიცაა ხორბალი და ხორცი, ბოლო ათი წლის განმავლობაში გაუმჯობესებით ხასიათდებოდა ხორბლის წარმოებისა და თვითუზრუნველყოფის დინამიკა. ცხადია, რომ აღნიშნული სტრატეგიული პროდუქტით სრულ თვითუზრუნველყოფაზე აქცენტირება არარეალური და კონტრეფექტური იქნება. ამასთან, არსებობს რეზერვები (მოსავლიანობის ზრდა, გამოუყენებელი პოტენციური სათესი ფართობები) ხორბლის წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

ხორცის წარმოებისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები მნიშვნელოვნადაა გაუარესებული. კერძოდ, 2006 წელს თვითუზრუნველყოფის დონე არსებული 73%-დან 2016 წლისათვის შემცირდა 48%-მდე. ამასთან, მნიშვნელოვნად შემცირდა ყველა სახის ხორცის

**ცხრილი 10.**

## ხორბლისა და ხორცის წარმოების დინამიკა

| | მარაგები წლის დასაწყისში | | ადგილობრივი წარმოება | | იმპორტი | | სულ რესურსები | | თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი % | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2006 | 2016 | 2006 | 2016 | 2006 | 2016 | 2006 | 2016 | 2006 | 2016 |
| ხორბალი და ხორბლისგან მიღებული პროდუქტები ხორბალზე გადაანგარიშებით (ათასი ტონა) | 172 | 73 | 70 | 127 | 798 | 552 | 1040 | 752 | 8 | 19 |
| ხორცი (ათასი ტონა) | 1,8 | 2,3 | 83,3 | 66,1 | 32,1 | 84,3 | 117,2 | 152,7 | 73 | 48 |
| მსხვილფეხარქოსანიპირუტყვისხორცი (ათასიტონა) | 0,6 | 0,2 | 33 | 21,5 | 8 | 5,9 | 41,6 | 27,6 | 81 | 79 |
| ღორის ხორცი (ათასი ტონა) | 0,4 | 1,7 | 31,1 | 16,1 | 8,6 | 22,5 | 40,1 | 40,3 | 79 | 42 |
| ცხვრისა და თხის ხორცი (ათასი ტონა) | 0,4 | 0,1 | 7,6 | 4,6 | 0,1 | 0,8 | 8,1 | 5,5 | 99 | 100 |
| ფრინველის ხორცი (ათასი ტონა) | 0,4 | 0,3 | 11,2 | 23,5 | 15,4 | 55,1 | 27 | 78,9 | 43 | 35 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

(გარდა ფრინველის ხორცისა) წარმოება. წარსულის გამოცდილებიდან და ქვეყანაში არსებული პირობებიდან გამომდინარე საქართველოში არსებობს რეზერვები აღნიშნული რესურსის წარმოების ზრდისა და შესაბამისად, თვითუზრუნველყოფის დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის.

**ცხრილი 11.**

**ჰიდრო, ჰელიო, ეოლო, ბიომასის ენერგორესურსები (ექსპერტული შეფასება)**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პოტენციური ჰიდრორესურსები მლრდ კვტ. სთ წელიწადში | 135 |
| 2 | მზის ენერგია, მგვტ. სიმძლავრის ეკვივალენტი, წელიწადში | 108 |
| 3 | ქარის ენერგიის ტექნიკური პოტენციალი მლრდ კვტ.სთ წელიწადში | 4,5 |
| 4 | ბიომასის გადამუშავებით მიღებული სიმძლავრე მგვტ | 510 |

*წყარო:*https://bachanaphiphia.wordpress.com/

არსებული მონაცემები მიუთითებენ, რომ საქართველოს ენერგორესურსების კუთხით მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია, რომელთა ათვისებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად ენერგეტიკის სფეროს სწრაფი განვითარება უნდა დაისახოს.

**ცხრილი 12.**

**ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში 2013 წ.**

| | გვტ. სთ |
|---|---|
| წარმოება | 10 059,3 |
| იმპორტი | 484,1 |
| ქსპორტი | 450,4 |
| მარაგების ცვლილება | - |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.*

განსაკუთრებით არსებითია ჰიდრო რესურსების პოტენციალი, რომლის გონივრულ და ეფექტიან გამოყენებაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პირობები.

## 3.3. საქართველოს ბუნებრივი რესურსები

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყანაში მრავალფეროვანი სასარგებლო წიაღისეული და მდიდარი მინერალურ-რესურსული ბაზაა.

სასარგებლო წიაღისეულის სახეობებიდან, საქართველოში თითქმის ყველა გვხვდება, რომლებიც სამრეწველო-ეკონომიკური გამოყენების მიხედვით შემდეგნაირად ჯგუფდება:

*1. ნედლეული შავი მეტალურგიის (მანგანუმი), ფერადი მეტალურგიისა და ოქროს მომპოვებელი მრეწველობის განვითარებისთვის – მანგანუმი, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, სტიბიუმი,*

ბისმუთი, კადიუმი, სელენი, ტელური, გერმანიუმი, ვერცხლისწყალი, ინდიუმი, გოგირდი. ცეცხლგამძლე თიხა, დოლომიტი, საფლუსე კირქვები, საყალიბე ქვიშები, ქალცედონი, სპონგოლიტი, ტორფი, გაჯი.

2. ნედლეული ქიმიური და კვების მრეწველობის, აგროქიმიური და სხვა დარგებისთვის – მჟავეგამძლე ანდეზიტი, ბარიტის მადნები, ბენტონიტური თიხები, დიატომიტი, კალციტი, მინერალური საღებავები, ტალკი, ცეოლითი.

3. ნედლეული სამშენებლო ინდუსტრიისთვის – ცემენტის ნედლეული, გაჯი, თიხები, მოსაპირკეთებელი მასალები, ჩამოსასხმელი ბაზალტი და სხვა.

4. ნედლეული კერამიკის წარმოებისთვის – კაოლინი, კერამიკული თიხები, რიოლითები, ტრაქიტები, პეგმატიტები.

5. ნედლეული საიუველირო და სანაკეთო წარმოებისათვის – აქატი, მარმარილოსონიქსი, გიშერი, ფერადი ობსიდიანი, იასპისი, დეკორატიული დოლერიტი, სხივოსნური ლამპროფირი.

6. ნედლეული მინის და მინის ტარის მისაღებად – მინდვრის შპატიანი ქვიშები.

7. სასმელი დანიშნულების მტკნარი მიწისქვეშა წყლები – გავრცელებულია როგორც ულტრამტკნარი, ასევე მტკნარი მიწისქვეშა წყლების ტიპები. საქართველოს პერსპექტიული მოთხოვნილება ამ რესურსზე შეადგენს მთელი გამოვლენილი მოცულობის მხოლოდ 40 %-ს.

8. სასმელი და სამკურნალო დანიშნულების მინერალური წყლები – აღნიშნული წყლების გამოყენების

*სფერო ძალიან ფართეა, როგორც საგემოვნო, ისე სამკურნალოდ მათი გამოყენების პერსპექტივის განსაკუთრებული მრავალფეროვნების გამო.*

*9. თერმული წყლები – გამოიყენება როგორც სამკურნალო-საყოფაცხოვრებო, ისე ენერგეტიკული დანიშნულებით მოხმარებისთვის. თერმული წყლების ჯამური საბალანსო ენერგეტიკული პოტენციალი 300 მეგავატს აჭარბებს (http://moe.gov.ge/index.php?langid=GEO&secid=45 ).*

რაც შეეხება ხე-ტყის რესურსებს, ოფიციალური მონაცემებით, ტყის ფონდის მიერ დაკავებული 3005,2 ათასი ჰექტრიდან, ტყით დაფარული ფართობი 2 772,45 ათას ჰექტარს (40%) შეადგენს. საქართველოში მერქნის საერთო მარაგი 451,7 მლნ კუბური მეტრია, რაც მსოფლიო მერქნის მარაგის 0,13 %. ამასთან, ტყის ფონდის ტყეების 97% დიდი დაქანების ფერდობებზეა განთავსებული

*(http://moe.gov.ge/index.php?langid=GEO&secid=44 ).*

ასევე ცნობილია, რომ საქართველოს ნავთობის პოტენციური რესურსები 2 მლრდ. ტონადაა შეფასებული, თუმცა წლიური მოპოვება 100 ათას ტ-ს არ აღემატება (*ჩიტიძე ნ., ,,გეოპოლიტიკა," თბილისი, 2011. გვ.627).* ბუნებრივი გაზის პროგნოზული რესურსი კი 180 მლრდ მეტრ კუბით განისაზღვრება, რაც შეეხება მანგანუმს, მისი მარაგი ჭიათურის საბადოში 200 მლნ ტ-ზე მეტია.

## 3.4. სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები საქართველოში

XX საუკუნის ბოლოსათვის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ცალკეული ეკონომიკური სისტემისა და ლოკალური საზოგადოებრივი დონიდან უკვე გლობალურ პარამეტრებზე გავიდა, რადგანაც მჭიდროდ უკავშირდება ენერგიის ახალი წყაროების გამოყენების, გარემოს დაცვის, უახლესი ბიოტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებს. ამავდროულად, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისთვის სასტარტო პირობების ფორმირებაში, რადგანაც ცალკეული ინდივიდებისთვის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს იმ რაოდენობის, ასორტიმენტისა და ხარისხის კვების პროდუქტების მოპოვებისა და მოხმარების შესაძლებლობას, რომელიც აუცილებელია ადამიანის განვითარებისა და აქტიური ცხოვრების უზრუნველყოფისთვის.

**სასურსათო უსაფრთხოება** გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკისა და შესაბამისი ინსტიტუტების უნარს, უზრუნველყოს ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა იმპორტისაგან დამოუკიდებლად, თვითუზრუნველყოფის გარკვეული დონის პირობებში.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული დონის დახასიათებისთვის იყენებენ სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორთა მრავალფეროვან სისტემას, რომლებში-

აც დიფერენცირებულია სურსათის ენერგეტიკული ფასეულობის, პროდუქტების ეკოლოგიურობის ხარისხის, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის, იმპორტზე დამოკიდებულებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის მაჩვენებლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ორი ძირითადი მახასიათებელია ცნობილი. პირველი გულისხმობს მარცვლეულის გარდამავალი მარაგების მოცულობას. თუ მარცვლეულის მსოფლიო მარაგი მთელი მოხმარების 17 %-ზე ზევითაა (ანუ 60 დღის მარაგზე მეტი) საერთაშორისო სასურსათო მდგომარეობა უსაფრთხოდ ითვლება. მეორე მაჩვენებელი მარცვლეულის წარმოების მონაცემებს მოიცავს მთლიანად და ერთ სულზე გაანგარიშებით. ზოგადად, ცალკეული ქვეყნების მიხედვით 1 სულზე იგი განსხვავებულია და 500—800 კგ-ის ფარგლებში მერყეობს. FAO-ს კლასიფიკაციით ის პირები, რომლებიც იღებენ 1520 კკალორიას და ნაკლებს დღეში მიეკუთვნებიან მოშიმშილეთა კატეგორიას. 2150 კკალორიის მიღება დღეში ითვლება შიმშილობის ზღვრად (*კოღუაშვილი პ. (2004) საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი. გვ.41; 47).* საქართველოს ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღე-ღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა მოხმარების რაციონალური ნორმების მიხედვით 2500 კკალორიას შეადგენს. ამასთანავე, მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულებიდან გამომდინარე 2000 წლიდან სტატისტიკის სახელმწიფო

დეპარტამენტში სიღარიბის ორი ზღვარი გაითვლება — ოფიციალური და გადასინჯული. ოფიციალური მინიმუმი მოიცავს შრომისუნარიანი მამაკაცის ეკვივალენტური მოზრდილის მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებას მიმდინარე ფასებში, რომელიც უზრუნველყოფს დღე-ღამის განმავლობაში მინიმუმ 2500 კკალორიის მიღებას. გადასინჯული მინიმუმის შემთხვევაში კი ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე დღე-ღამეში 2200 კკალორიის მიღებაა გათვალისწინებული *(სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა საქართველოში. სსდი. 2002 წლის ნოემბერი. გვ. 35).*

საერთოდ ეკონომიკურ ლიტერატურაში ენერგიის მოხმარების თვალსაზრისით გამოყოფენ სიცოცხლისუნარიანობის სამ დონეს:

- ოპტიმალური სიცოცხლისუნარიანობა. 2500-3500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში;
- არასრულყოფილი სიცოცხლისუნარიანობა. 1500-2500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში;
- კრიტიკული სიცოცხლისუნარიანობა. 1000-1500 კკალორიის დღიური მოხმარების პირობებში *(მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ. (1998.) სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბილისი. გვ. 11; 18).*

რაც შეეხება მინიმალურ სასურსათო კალათას, მისი შემადგენლობა და ენერგეტიკული ღირებულება შრომისუნარიანი მამაკაცისთვის, განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/ნ ბრძანებით და დღიურად მიღებული სურსათის მინიმალურ ენერგეტიკულ ღირებულებად დადგენილია 2300 კკალორია.

აღნიშნულთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვების პროდუქტებისათვის ნედლეულის მიღებიდან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციამდე ნებისმიერ ფაზაში ჯანმრთელობისათვის მავნე მოვლენების გამორიცხვას, სურსათით თვითუზრუნველყოფის პოტენციური და არსებული დონის ანალიზს, ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა დაცვის მსოფლიოში აპრობირებული და მიღებული ნორმების გამოყენებას. ამ საკითხში ზოგჯერ ორმაგი სტანდარტებიც შეიმჩნევა, როცა დეკლარილებულია თავისუფალი ვაჭრობა, პროტექციონიზმის მინიმალური პირობები, მაგრამ განვითარებული ქვეყნები აღნიშნულის შესრულებას თავს არიდებენ.

### ცხრილი 13.

## მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდირებუ-ლი შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისთვის

*(„საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამ-ტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-ლური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის 111/ნ ბრძანებიდან)*

| № | პროდუქციის დასახელება | დღიური მოხმარება | ცილები, გ | | ცხიმები, გ | | ნახშირწყლები, გ | ენერგეტიკული ღი-რებულება, კკალ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ცხოველური | მცენარეული | ცხოველური | მცენარეული | | |
| 1 | ხორბლის პური | 250 | | 20,5 | | 3,2 | 117,2 | 579,6 |
| 2 | ხორბლის ფქვი-ლი | 70 | | 7,3 | | 0,8 | 47,2 | 227,6 |
| 3 | სიმინდის ფქვილი და სხვა | 40 | | 3,2 | | 0,6 | 26,4 | 123,8 |
| 4 | ლობიო | 20 | | 4,2 | | 0,3 | 10,5 | 61,5 |
| 5 | ბრინჯი | 10 | | 0,7 | | 0,07 | 10,2 | 44,2 |
| 6 | ბურღული (მანა-ნის, წიწიბურა და სხვა) | 10 | | 1,0 | | 2,3 | 6,4 | 50,3 |
| 7 | მაკარონის ნა-წარმი | 15 | | 1,5 | | 0,2 | 10,3 | 49,0 |
| 8 | ძროხის და ხბოს | 40 | 6,2 | | 4,5 | | | 65,3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხორცი | | | | | | | |
| 9 | ღორის ხორცი | 10 | 1,2 | | 3,1 | | | 32,7 |
| 10 | შინაური ფრინვე-ლის ხორცი | 20 | 2,0 | | 2,1 | | | 26,9 |
| 11 | თევზი ნედლი, გა-ყინული | 40 | 3,3 | | 0,2 | | | 15,0 |
| 12 | ძეხვეული | 10 | 1,3 | | 2,6 | | | 28,6 |
| 13 | რძე | 150 | 4,2 | | 4,9 | | 6,9 | 88,5 |
| 14 | მაწონი | 25 | 0,6 | | 0,7 | | 0,9 | 12,3 |
| 15 | ხაჭო | 15 | 2,3 | | 1,3 | | 0,6 | 23,3 |
| 16 | ყველი | 20 | 4,4 | | 5,0 | | | 63,2 |
| 17 | ნადული | 5 | 0,4 | | 0,5 | | 0,1 | 6,5 |
| 18 | კვერცხი (0,5 ცა-ლი დღეში) | 24 | 5,5 | | 5,0 | | | 67,0 |
| 19 | ცხოველური ცხი-მები (კარაქი,ერ-ბო) | 12 | | | 9,1 | | | 81,9 |
| 20 | მარგარინი | 7 | | | 3,8 | 1,7 | | 49,5 |
| 21 | ზეთი მცენარეუ-ლი | 10 | | | | 9,9 | | 89,1 |
| 22 | თესლოვანი ხილი | 50 | | 0,3 | | 0,3 | 3,9 | 19,5 |
| 23 | კურკოვანი ხილი | 50 | | 0,4 | | 0,2 | 3,8 | 18,6 |
| 24 | სუბტროპიკული ხილი, კარალიოკი | 50 | | 0,5 | | | 3,5 | 16,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | საზამთრო, ნესვი, გოგრა | 50 | | 0,1 | | | 3,2 | 13,2 |
| 26 | კაკალი,თხი-ლი,მზესუმზირა | 15 | | 2,9 | | 8,9 | 1,3 | 96,9 |
| 27 | პომიდორი | 50 | | 0,4 | | | 1,4 | 7.2 |
| 28 | ხახვი | 25 | | 0,4 | | | 2,4 | 11,2 |
| 29 | ნიორი | 7 | | 0,4 | | | 1,4 | 7,2 |
| 30 | ბადრიჯანი | 10 | | 0,1 | | | 0,5 | 2,4 |
| 31 | კომბოსტო | 40 | | 0,4 | | | 1,0 | 5,6 |
| 32 | ჭარხალი | 15 | | 0,1 | | | 0,8 | 3,6 |
| 33 | სტაფილო | 15 | | 0,1 | | | 1,0 | 4,4 |
| 34 | კარტოფილი | 150 | | 2,0 | | 0,35 | 17,3 | 80,4 |
| 35 | შაქარი | 50 | | | | | 49,9 | 199,6 |
| 36 | მურაბები და ჯე-მები | 5 | | | | | 2,1 | 8,4 |
| 37 | საკონდიტრო ნა-წარმი | 5 | 0,07 | 0,25 | 0,3 | 0,3 | 3,5 | 20,7 |
| 38 | ღვინო სამამულო | 20 | | | | | | 0,0 |
| 39 | მარილი | 8 | | | | | | 0,0 |
| 40 | ჩაი | 2 | | | | | | 0,0 |
| jami | | | 31,5 | 46,8 | 43,1 | 29,1 | 334,3 | 2300,0 |
| | | | 78,3 | | 72,2 | | | |

სასურსათო უზრუნველყოფის კონცეფციაში განასხვავებს სასურსათო დეფიციტის სამ ფორმას, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოებას. კერძოდ, **შიმშილს, სურსათით ქრონიკულ დაუკმაყოფილებლობას და დაუბალანსებელ კვებას.** ამჟამად ყველაზე მეტი მოშიმშილე ცხადია, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, საიდანაც 57 % აზიის, 27% აფრიკის, 11% ლათინური ამერიკის და 5% ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშია. არსებული პროგნოზებით 2030 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 8 მლრდ-ს გადააჭარბებს. ამ პერიოდისთვის განვითარებულ ქვეყნებში იგი გაიზრდება 13%-ით, განვითარებადში – 82%-ით. კერძოდ, აფრიკაში –160%-ით, ლათინურ ამერიკაში – 77%-ით, აზიაში – 63%-ით. აბსოლუტურ სიდიდეებში ყველაზე მეტად მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზრდება აზიაში (1,89 მლრდ-ით), აფრიკაში (0,97 მლრდ-ით), ლათინურ ამერიკაში (0,33 მლრდ-ით) *(Давидянц Д. (1999) Продовольственная безопасность и комерческие структуры (в условиях Российских реформ). Москва. ст. 83).* თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისთვის სურსათის უკმარისობა მისი საჭირო რაოდენობით წარმოების შეუძლებლობით კი არა, მის შესაძენად საჭირო შემოსავლების არ არსებობითაა განპირობებული, ცხადი ხდება, რომ პრობლემა შეიძლება გამწვავდეს, რადგანაც მოსახლეობის ზრდის ტენდენციით გამორჩეული ქვეყნები არ გამოირჩევიან შემოსავლების ზრდითაც.

საქართველო, რომელიც აგრარული ტრადიციების ქვეყანაა და გამოირჩევა აგრარული სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი გეოგრაფიული, ბუნებ-

რივ-კლიმატური და შრომითი მონაცემებით, მზად უნდა შეხვდეს მსოფლიო ტენდენციების გამოწვევას, რომელიც საქართველოს აგროპროდუქციის ტრადიციული ბაზრების გვერდით ახალი ბაზრების ათვისების პერსპექტივებზე მიუთითებს. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველო მზად არ არის აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ. უფრო მეტიც, ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრები არადამაკმაყოფილებელია. ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის კვლავაც განსაკუთრებულ მუქარებად რჩება:

- აგრარულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე;
- აგრარული სექტორის არაოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურა, მისი მაღალი წილი მშპ-ში;
- ადგილობრივი პროდუქციის დაბალკონკურენტიანობა და საგარეო ბაზრებზე გაღწევის სირთულე;
- სურსათისადმი ხელმისაწვდომობის, სურსათის საკმარისობისა და თვითუზრუნველყოფის დაბალი დონე;
- იმპორტირებული სასურსათო პროდუქციის ეკოლოგიურობის დაბალი ხარისხი;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის დაბალი დონე;
- ქვეყნის მაღალი დამოკიდებულება სტრატეგიული სურსათის იმპორტზე.

სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორების დახასიათებისას ვლინდება, რომ ქვეყანაში შექმნილია არას-

რულყოფილი სიცოცხლისუნარიანობისთვის დამახასიათებელი პირობები. კერძოდ, მიღებული სურსათის ენერგეტიკული ფასეულობის ანალიზისას სახეზეა ნეგატიური პარამეტრები. ერთ სულზე კვების პროდუქტების წლიური მინიმალური მოხმარების ნორმისა და ფაქტიური მოხმარების ოფიციალური მონაცემების დისტრიბუცია გვიჩვენებს რომ მათ შორის მთელი რიგი პროდუქტების მიხედვით ნეგატიური დისპროპორციებია.

არსებული მონაცემებით წლიურ მინიმალურ (2300 კკალ) ფიზიოლოგიურ ნორმას მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხორცისა და ხორცის პროდუქტების, თევზისა და თევზის პროდუქტების, ბოსტნეულის, ხილის, კვერცხის, კარტოფილის მოხმარება, ხოლო უმნიშვნელოდ – პურისა და პურპროდუქტების, ჩაის, ყავისა და კაკაოს. ფიზიოლოგიურ ნორმაზე უკეთესი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი რძისა და რძის პროდუქტების, შაქრის, ზეთისა და ცხიმის, მარგარინის, მარილის, ღვინოს მოხმარება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სულ უფრო რთულდება იმ სტატისტიკური მასალის მოპოვება, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სულზე სურსათის მოხმარების მაჩვენებელთა გათვლას.

ცხრილი 14.

## სურსათის წლიური მოხმარების მინიმალური ფიზიოლოგიური ნორმა და ფაქტიური მოხმარება საქართველოში

| № | დასახელება | წლიური მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმა (კგ) | | | წლიური მოხმარება ერთ სულზე (კგ) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2300 კკალ | 2513 კკალ | 2800 კკალ | 2000 წელი | 2005 წელი | 2010 წელი | 2012 წელი |
| 1 | პური და პურპროდუქტები | 179 | 166 | 126 | 156,1 | 152 | 166 | |
| 2 | რძე და რძის პროდუქტები | 78,5 | 141 | 348 | 93,7 | 82,6 | 137 | 135 |
| 3 | ხორცი და ხორცის პროდუქტები | 29,2 | 55 | 72 | 19,5 | 16,4 | 27 | 26 |
| 4 | თევზი და თევზის პროდუქტები | 14,6 | 10 | 18 | 4,8 | 3,5 | | |
| 5 | ბოსტნეული | 60 | 118 | 133 | 95,5 | 83,5 | 51 | 55 |
| 6 | კარტოფილი | 55 | 50 | 61 | 51 | 54 | 44 | 52 |
| 7 | ლობიო | 7 | 12 | | 6,1 | 5,0 | | |
| 8 | ხილი | 55 | 61 | 72 | 51,0 | 40,6 | | |
| 9 | კვერცხი (ცალი) | 183 | 150 | 240 | 129 | 102,4 | 97 | 99 |
| 10 | შაქარი | 22 | 15 | 36 | 20,7 | 24,1 | | |
| 11 | ზეთი და ცხიმი | 8 | 12 | 13 | 13,9 | 12,4 | | |
| 12 | მარგარინი | 2,5 | 2 | | 2,5 | 2,3 | | |
| 13 | მარილი | 3 | 5 | | 5,0 | 5,0 | | |
| 14 | ჩაი, ყავა, კაკაო | 1 | 1 | | 0,6 | 0,8 | | |
| 15 | ღვინო (ლიტრი) | 7,3 | 12 | | 15,0 | - | | |

სავარაუდოდ, პურისა და პურპროდუქტების მოხმარების მაჩვენებლები რეალობაში უფრო პოზიტიურია, რადგანაცარსებული მონაცემებით მოსახლეობის რაციონის სტრუქტურაში იგი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს (50%-მდე). რაციონში ასევე ძირითადი წილი მოდის დაბალი ენერგეტიკული ფასეულობის სურსათზე, რომელზეც მომხმარებლის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება, მაგრამ მინიმალური ფიზიოლოგიური ნორმის ადეკვატური კალორიების მიღება მაინც ვერ ხერხდება. ცხადია, რომ სახეზეა მოსახლეობისთვის სურსათის საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის დაბალი დონე. შემოსავლების ხარჯებზე უმნიშვნელო მეტობა ადასტურებს, რომ ყველა ინდივიდს როდი აქვს საკმაო რესურსები რათა შეიძინოს მისთვის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სურსათი.

